სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 2 ივნისი 2005 №122 (2445) ფასი 50 თეთრი



მიქელე იანქუ ტირანიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“

## ისინი ჩამოვიდნენ პლაჟიდან

ალბანეთის ნაკრები ტირანიდან 50 კილომეტრის მოშორებით, ქალაქ დურეციდან დედაქალაქში გუშინ ნაშუადღევს დაბრუნდა და „ქემალ სტაფაზე“ ორსაათიანი ვარჯიშიც მოასწრო. ალბანელები დურეცში, სასტუმრო „ადრიატიკში“ სამი დღე ცხოვრობდნენ და პლაჟზეც ვარჯიშობდნენ.

მწვრთნელ ჰანს-პეტერ ბრიგელის ხელქვეით 23 ფეხბურთელი კია, მაგრამ 4 ივნისს ძირითადის ოთხი წევრი მაინც აკლდება: ცანა და ლალა დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ, რაკლისა და შუშის კი ბრიგელმა არ დაუძახა, ნაკრების გაახალგაზრდავების დრო მოვიდაო.

— ალბანეთს საქართველოსთან ყოველთვის უჭირდა — გვითხრა ბრიგელმა გუშინ — თუმც შაბათის თამაში განსხვავებული იქნება. სტუმრებს სულ სხვა შემადგენლობით დავუხვდებით. ნაკრებს დაუბრუნდნენ გამოჯანმრთელებული ჰასი და მურატი, გამოვიძახეთ ახალგაზრდა ფეხბურთელებიც.

— მეკარე ფოტო სტრაკოშა, რა თქმა უნდა, გუნდთან ერთადაა, მაგრამ არ ითამაშებს, ის გუნდს ფსიქოლოგიურ მომზადებაში დაეხმარება. საქართველოსთან კი ჩვენს კარს ლიფა დაიცავს.

— საქართველო ტექნიკურად ყოველთვის ძლიერი გუნდი იყო, თუმც ახლა ტაქტიკურადაც გამართულად თამაშობს. რა უნდა დავუპირისპიროთ ქართველებს? ამას შაბათს ნახავთ. იმედი მაქვს, მატჩი ჩვენ სასარგებლოდ დამთავრდება.

სხვათა შორის ჰანს-პეტერ ბრიგელმა პოლონეთთან ამხანაგურ მატჩში, ჩვენდა გასაკვირად, გუნდი ახალი, 4-2-3-1 განლაგებით ათამაშა და გვითხრა, სიახლით ძალიან კმაყოფილი ვარო. არადა, პოლონეთთან არ იყო თავდამსხმელი ტარე, ვისაც „ბოლონიას“ შემადგენლობაში იტალიის ჩემპიონატის მატჩი ჰქონდა. ტარე ახლა უკვე ტირანაშია და გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც.

გუშინ ტირანაში ტემპერატურა 28-30 გრადუსი იყო. თუმც ფეხბურთელებს სიცხე ხელს არ შეუშლის — მატჩი ჩვენი დროით ცხრის ნახევარზეა დანიშნული, ამ დროისთვის კი ტირანაში სიგრილეა.

ბოლოს იმასაც გამცნობთ, რომ საქართველოს ნაკრები ტირანის საუკეთესო სასტუმროში, „შერატონში“ დაბინავდება.

# დავით პეტრიაშვილი დინამოდან წავიდა!



საქართველოს ჩემპიონის მმართველმა დირექტორმა გუშინ განცხადება დაწერა და თანამდებობა დატოვა. დატოვა ჩემპიონის რანგში, მან სეზონის დასაწყისში ნათქვამი, წლეულს „დინამო“ ჩემპიონი იქნებაო, შეასრულა.

— „დინამოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან შეხვედრისას დავით პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ფეხბურთშივე, ოღონდ სხვაგანაც აპირებს საქმიანობას და არ სურს, „დინამოს“ ხელმძღვანელობაში ამან ხელი შეუშალოს. დავით პეტრიაშვილმა შეასრულა პირობა, „დინამო“ ჩემპიონი გახდა და წასვლის წინ კლუბის მმართველებისგან მადლობა დაიმსახურა — გვითხრა წუხელ „დინამოს“ პრეს-სამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ.

ბევრის ვარაუდით, „დინამოდან“ წასული დავით პეტრიაშვილი ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში ნოდარ ახალკაცის გამარჯვების შემთხვევაში ფედერაციის გენერალურ მდივნად დაინიშნებაო.

თბილისის „დინამოს“ ახალი ხელმძღვანელის ვინაობა კი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

ძოგა ინასარიძე

# ორივე მოჩხუბარმა 0:3 წააგო



„ტორპედოსა“ და „თბილისის“ ჩაშლილი მატჩის განხილვამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ფიცხელ კამათსა და ჩხაურში ჩაიარა. სადისციპლინო კომიტეტმა ორივე მხარეს მოუსმინა, გაარჩიეს ფირიც და ვერდიქტიც გამოიტანეს: ორივე გუნდს 0:3 წაგება ჩაეთვალა და ბიუჯეტი 5000 ლარით შეუთხელდა.

ვერც ფეხბურთელები დაუსხლტნენ სასჯელს: თბილისელ რევაზ გენაძეს გაფრთხილება და 200-ლარიანი ჯარიმა აკმარეს, მის თანაგუნდელ თორნიკე აფციაურსა და ტორპედოელ დავით გამეზარდაშვილს კი 5-5 მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 500-ლარიანი ჯარიმა გამოუწერეს. „ტორპედოს“ სტადიონი ორთამაშიან დისკვალიფიკაციას მოიხდის, ხოლო მსაჯების საკითხს მოგვიანებით გაარკვევენ.

ასეა თუ ისე, ამ გუნდების მდგომარეობა იგივე დარჩა, რაც ბოლო ტურამდე იყო — „ტორპედო“ უეფას თასზეა, „თბილისს“ კი ინტერტოტოს თასზე თამაში კი არა, საერთოდ მომავალ ჩემპიონატში გამოსვლაც ეეჭვება, მოგვწყინდა ასეთი ჭაობში ყოფნაო...

# პრეზიდენტი პრეზიდენტის გუნდიდან



ოთხთვიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას პრეზიდენტი გამოუჩნდა. გუშინდელი რიგგარეშე ყრილობა ჭადრაკის სასახლეში უსკანდალოდ, მშვიდად ჩამთავრდა. ორასამდე დელეგატმა არჩევანი სამ კანდიდატს შორის გააკეთა. აშკარა უპირატესობით ხელისუფლების ფავორიტმა, პარლამენტარმა კახა გეწაძემ იმარჯვა. მან ასევე პარლამენტარ ვალერი გელაშვილსა და ლეგენდარულ ლევან თედიაშვილს აჯობა.



ბექა [illegible] ფოტო

# საქართველომ არწივებს წვიმა წაუღო

## ალენ ჟირესს 19 დარჩა

**ალბანეთში** გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრებმა გუშინ, ჩვეულებისამებრ, „ოლიმპის" სტადიონზე ივარჯიშა. ალენ ჟირესის სამწყსო 19-კაციანი შემადგენლობით იყო და მოედანზე დაახლოებით საათნახევარი დაჰყო, იქამდე, ვიდრე ცამ პირი არ მოაღო და თავსხმამ დასცხო.

„ოლიმპზე" გუშინ საერთოდ არ გამოჩენილან ალექსანდრე ამისულაშვილი, შოთა არველაძე, ლევან ცქიტიშვილი და მიხეილ აშვეთია — ისინი საალბანეთო ნაკრებში გამოძახებულნი კი იყვნენ, მაგრამ ტრავმებმა შეაწუხეს და გუნდს ჩამოშორდნენ.

გუშინ ინდივიდუალურად ივარჯიშა ალექსანდრე რეხვიაშვილმა, ვინც საკმაო პაუზის შემდეგ ჟირესმა ისევ იხმო. ალექსანდრე მთელი ვარჯიშის მიმდინარეობისას მოედნის გარშემო დარბოდა და ითამაშებს თუ არა არწივებთან, ამას ჯერ გუნდის ექიმები ვერ ამბობენ, თუმც ამ ფეხბურთელის ხასიათი რომ ვიცით, თუ შეეძლება, უკან არ დაიხევს და ითამაშებს.

ვარჯიშზევე კუნთმა შეაწუხა ალექსანდრე იაშვილი და თანაგუნდელებს გამოაკლდა. მცირე მასაჟი „იაშკას" იქვე გაუკეთეს, ის სავარჯიშოდაც მიიწევდა, მაგრამ მწვრთნელ-ექიმებმა აღარ დაანებეს.

— სერიოზული არაფერია, ვარჯიშისას კუნთმა „გამკრა", მაგრამ ახლა გამიარა. ალბანელებთან თამაშისთვის მზადებას სრული დატვირთვით განვაგრძობ — იაშვილმა კი გვითხრა, სრული დატვირთვით ვივარჯიშებო, მაგრამ სათქმელია ისიც, რომ ცხრათვიანი მომქანცველი სეზონის კვალი ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობას აშკარად ეტყობა და ჩანს, საუკეთესო ფორმაში ვერ არიან. არც ალენ ჟირესს დაუმატებია მათთვის დატვირთვა და ვარჯიშიც სულ ბურთის თანხლებით ჩატარდა.

**ძოგა ინასარიძე**



# ალენ ჟირესი: ტრავმებს ავიტანთ, მთავარია რწმენა

## გამოდის, მე და შუშაკი შეშლილები ვართ...

**საქართველოს** ნაკრებმა საალბანეთო სამზადისი 30 მაისს დაიწყო, თუმც ტირანაში წასასვლელმა გუნდმა სრული შემადგენლობით პირველად გუშინ ივარჯიშა. თუმცა, რალა სრული გამოდის, კოჭნატკენი მიხეილ აშვეთია, შოთა არველაძე, ალექსანდრე ამისულაშვილი და ლევან ცქიტიშვილი (ოჯახური პრობლემების გამო) ალენ ჟირესის ბანაკს გამოაკლდნენ. გრიპი ვერ მოირჩინა ლევან კობიაშვილმა, თუმცა „შალკეს" ნახევარმცველი 4 ივნისს ითამაშებს. სანაცვლოდ მუსიე ალენმა მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, თბილისის „ლოკომოტივის" ფორვარდი მიხეილ ბობოხიძე დაიმატა, რითაც შემტევთა ოდენობა ოთხამდე შეავსო.

და კიდევ, ერთი ტრავმირებული მეკარეთა მწვრთნელი ოთარ გაბელიაა — მას ფეხი უტკენია და ალბანეთში ვერ მიდის.

გუშინვე ეროვნულის ფრანგმა თავკაცმა საქართველოს ნაკრების ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა, ჟირესი ტრავმიანობის გამო მაინცდამაინც შეცბუნებული არ ჩანდა და მოახლოვებული თამაშის გარდა სხვაც ბევრი თქვა.

— ახლა ჩემ განკარგულებაში 19 ფეხბურთელია. ტრავმების გამო თავი არ უნდა ჩავლუნოთ, ჩვენ ის რწმენა უნდა დავიბრუნოთ, რომელიც შესარჩევი ციკლის საწყის ოთხ მატჩში გვქონდა. ცოტა განსხვავებული თამაში გველის იმ მხრივ, რომ უმეტეს ევროპულ ქვეყნებში ჩემპიონატები დასრულდა და ფეხბურთელები მაქსიმალურად კარგ ფორმაში უნდა იყვნენ.

**— სამი დღის წინ გამართულ პოლონეთ — ალბანეთის ამხანაგურ მატჩზე რა ინფორმაცია გაქვთ?**

— სამწუხაროდ, ვიდეოფირი არ მაქვს. მედიის საშუალებით ვიცი, როგორ წარიმართა ეს თამაში, ალბანეთის შემადგენლობას გავეცანი.

**— ნაკრებს საკადრო პრობლემები მოეძალა და ხომ არ ჯობდა, ბობოხიძის გარდა კიდევ ვინმე დაგემატებინათ საქართველოს ჩემპიონატიდან?**

— ვიზების გაცემა ვერ ესწრება, მაგრამ 19 ფეხბურთელი გვყავს და განაცხადში, როგორც იცით, 18 კაცი უნდა მოხვდეს. 30 ფეხბურთელიც რომ გამომეძახებინა და 10 კაცი გამომკლებოდა, მერე ვიტყოდით, რატომ 40 არ გამოვიძახეთო. ტრავმებს და რიგ მიზეზებს გვერდს ვერ ავუვლით. დღეს რომ ექიმმა ან მასაჟისტმა ფეხი მოიტეხოს, მათ ნაცვლად ვერავის წავიყვანთ.

**— მორიგი დანაკლისის შემთხვევაში ახალგაზრდული ნაკრებიდან ხომ არ აიყვანთ ვინმეს?**

— თუ მართლა ასე მოხდა, მეტი რა დაგვრჩენია. გააჩნია, რა პოზიციაზე დაგვაკლდება მოთამაშე. ისე, გოჩა ტყებუჩავას ნაკრები საკმაოდ გადახალისებულია, ზოგიერთი დებიუტანტიცაა.

**— ალბანეთის ნაკრების ძლიერ და სუსტ მხარეებზე რას იტყვით?**

— ბრიგელს ორგანიზებული და ტექნიკური გუნდი ჰყავს, ნახევარმცველებზე დიდად არიან დამოკიდებულნი — ფაქტობრივად, შუა ხაზს მიჰყავს მთელი თამაში, წინ კი ორი მაღალი თავდამსხმელი ჰყავთ. კიდევ ვიმეორებ, მთავარია, ისეთივე რწმენა გვქონდეს, როგორიც საქართველო — ალბანეთის თბილისური მატჩისას.



**— ლევან მაღრაძის თამაში ჩვენ არ გვინახავს, თქვენ კი ნახეთ საბერძნეთში. როგორი სტილის ფეხბურთელია?**

— მაღრაძე ტემპერამენტიანი სტილის მოთამაშეა. იგი 4-4-2 სისტემისას მარჯვენა მცველად ვერ ითამაშებს, 3-5-2-ს კი კარგად მოერგება.

**— ცნობილია, რომ ალბანელებმა მხურვალე გულშემატკივრობა იციან და რამდენად დიდი პლუსია ჩვენთვის, რომ მატჩი ცარიელი ტრიბუნებით ჩატარდება?**

— ვერ ვიტყვი, რომ დიდი უპირატესობა გვექნება. პირიქით, ზოგჯერ სტუმარი ფეხბურთელები უფრო მობილიზებულები ხდებიან, როცა მასპინძელი ქომაგებისგან სტვენა ესმით.

**— ესე იგი, არც ჩვენთვის იქნება დანაკლისი, უკრაინის ნაკრებს რომ უმაყურებლოდ ვუმასპინძლებთ?**

— არა, რატომ?! მე იმის თქმა მინდა, რომ ცარიელი ტრიბუნები ალბანეთისთვის იქნება ცუდი, ჩვენთვის კი არც ისეთი დიდი უპირატესობა.

**— მალხაზ ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივში" ცენტრალურ მცველად თამაშობს და ხშირად ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც ხვდება. ამ კონკრეტულ მატჩში იქნებ მალხაზის ნაკრებშიც დაცვაში დაყენება სჯობდეს?**

— საინტერესოა, დანიასთან თამაშის შემდეგ რატომ არ დამისვით ეს შეკითხვა? ასათიანის პოზიციაში არ ვცდები, მაგრამ ზოგს სხვა აზრი აქვს. მგონი, მხოლოდ მე და შუშაკი ვართ შეშლილები, მალხაზს გამთამაშებლად რომ ვხედავთ...

**— მუნდიალზე გასვლის შანსები დაიკარგა. როგორ გგონიათ, მხოლოდ რეიტინგში წინ წაწევა საკმარისი მოტივაციაა?**

— დარჩენილ მატჩებში ღირსეულად თამაშის გარდა ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლისთვისაც უნდა ვაწარმოოთ სელექცია. მოკლედ, ერთმანეთზე გადახლართული ორი სტრატეგიული გეგმაა.

**— თქვენ უფრო საგაისო ციკლისთვის მზადებას ამჯობინებთ?**

— ეს მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული, 11 ივნისს არჩევნების მერე გამოჩნდება. ფედერაციის ახალი პრეზიდენტის აზრიც ხომ გასათვალისწინებელია. ისე, მომავლისთვის მზადება იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრებიდან ყველა ფეხბურთელი უნდა გაუშვა — ღერძი უნდა შეარჩიო, რომელთა გარშემო პერსპექტიული მოთამაშეები მოვლენ.

**ილია ნანოგაშვილი**

### შვედეთი

თასის მეთერთმეტედფინალი

*ოლმე* 1:1დ.დ.(პენ.5:4, 1:1) კალმარი

### ამხანაგური მატჩი

ახალგაზრდულები (U-21)

ფინეთი 2:1 დანია

### ავსტრია

თასის ფინალი

რაპიდი 1:3 ავსტრია

### შვეიცარია

პლეი ოფი. პირველი მატჩი

შაფჰაუზენი 1:1 ვადუცი

# ორი 0:3 ვის გაუგია?!

## ტორპედო უეფას თასზე უბოდიშოდ გავიდა

*გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში სადისციპლინო კომიტეტის 274-ე სხდომა გაიმართა. ერთადერთი განსახილველი საკითხი „ტორპედო“ — „თბილისის“ ჩაშლილი მატჩი იყო.*

*გეცოდინებათ, ჩემპიონატის ბოლო ტურში, 30 მაისს ქუთაისის „ტორპედო“ „თბილისს“ მასპინძლობდა. ეს იყო ტურის ერთადერთი ინტრიგაშენარჩუნებული მატჩი, სადაც მეორე-მესამე ადგილების და, შესაბამისად, უეფას თასის საგზურის ბედი უნდა გარკვეულიყო. უნდა გარკვეულიყო, მაგრამ თქვენთვის უკვე ნაცნობი მიზეზების, ცემა-ტყეპის, ქვების თუ სხვადასხვა ნივთების მოედანზე სროლის, მაყურებლის მინდორზე გადასვლის და ათასი უმსგავსობის გამო შეხვედრას დასრულება არ ეწერა — მატჩი 85-ე წუთზე ჩაიშალა, როცა ანგარიში 1:0 იყო ქუთაისელების სასარგებლოდ...*



სხდომას ტატო ლასხიშვილი თავმჯდომარეობდა, გუნდების მხრიდან კი ოთარ გაბელია („ტორპედო“), ნიკა დოლიძე და მამუკა გუგეშაშვილი (ორივე „თბილისი“) ესწრებოდნენ. კამათი და ხმაურიც ისეთი იყო, როგორსაც ველოდით. განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, თბილისელები აქტიურობდნენ. მამუკა გუგეშაშვილმა სულაც პირდაპირ თქვა, უეფას თასის საგზური „ტორპედოსთვის“ დამითმია, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდაც სახალხოდ ბოდიში მოიხადონ ჩვენ წინაშეო.

— ჯერ კიდევ თამაშის წინ გაავრცელეს ხმები, თითქოს პროვოკაციას ვგეგმავდით. ეს ხომ სისულელეა?! „ტორპედოს“ დირექტორ ჯემალ ხაჭაპურიძეს ამ უაზრო ჭორის გავრცელებისთვის პასუხი უნდა მოეთხოვოს. რატომ არ მოვიდა დღევანდელ სხდომაზე? იცოდეთ, ერთადერთ რამეს ვითხოვ: ან ხაჭაპურიძემ დაამტკიცოს, რომ მართალია, ან საერთოდ მოიკვეთოს ფეხბურთიდან — განაცხადა გუგეშაშვილმა.

მანამდე კი დისციპლინარებმა მატჩის ინსპექტორის, დირექტორისა და მსაჯების მოხსენებითი ბარათები წაიკითხეს, ამას მიემატა გუნდების წარმომადგენელთა არგუმენტები და დანაშაულთა რვაპუნქტიანი სია შედგა: 1) თამაშამდე და თამაშის დაწყებისას მავანი ქუთაისელი გულშემატკივარი „თბილისის“ მეკარე სოსო გრიშიკაშვილის კარს უკან დადგა და შეურაცხყოფა მიაყენა მას; 2) იგივე პიროვნება მატჩის დროს თბილისელთა სათადარიგოთა სკამთან აღმოჩნდა და არც ამჯერად დაიშურა „ტკბილი“ სიტყვები სტუმრებისთვის; 3) ტორპედოელი გიორგი მემარნიშვილი მსაჯისგან მალულად განზრახ ეუხეშა თბილისელ რევაზ ბარაბაძეს, რამაც მოედანზე სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა; 4) თბილისელ რევაზ გეწაძესა და მაყურებელს შორის მომხდარი კონფლიქტი პოლიციის დახმარებით ჩაცხრა; 5) მეორე ტაიმის დაწყება 15 წუთით დაგვიანდა — „თბილისი“ მოედანზე გასვლის სანაცვლოდ უსაფრთხოების გარანტიას ითხოვდა; 6) სტუმარი თორნიკე აფციაური და ტორპედოელი დავით გამეზარდაშვილი შელაპარაკდნენ, რასაც გუნდური ჩხუბი მოჰყვა; 7) ჩხუბმა მაყურებლის მოედანზე გადასვლა და არეულობა გამოიწვია; 8) მატჩი ჩაიშალა.

ამის შემდეგ „თბილისის“ პრეზიდენტმა ***ნიკა დოლიძემ*** ილაპარაკა: „მაყურებლებმა ფეხბურთელებს კენჭი ესროლეს თუ ქვები და სკამები, დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. ლაპარაკია იმაზე, რომ არ არსებობდა უსაფრთხოების გარანტია. მე რომ ამას ვითხოვდი, რა, გიჟი ვარ?! რატომ ვითხოვდი?! ნუთუ ეს არ გაინტერესებთ?!“

***მამუკა გუგეშაშვილი:*** „რომელ თამაშის გაგრძელებაზეა, ხალხო, ლაპარაკი?! ბოლოს და ბოლოს, სტადიონზე კი არა, ქალაქის გამოსასვლელთანაც კი დაგვხვდნენ და ქვები დაგვიშინეს. ერთხელაც ვიტყვი, რომ თამაშის გაგრძელება შეუძლებელი იყო!

...ჩემი თვალით ვნახე, თამაშამდე ქვები როგორ შეჰქონდათ სტადიონზე. ვის უნდა მოხვედროდა ის ქვები? ან ჩვენ, ან მსაჯებს, ან კიდევ გაბელიას თავის ფეხბურთელებიანად. აბა, ჯიბეში ხომ არ ჩაიწყობდნენ და სახლში ხომ არ წაიღებდნენ?!

...ყველამ გაიგოს, უეფას თასზე გასვლა ჩვენი მიზანი არ არის. დაგვსაჯეთ როგორც გინდათ, ოღონდ ვითხოვ, „ტორპედომ“ ბოდიში მოგვიხადოს“.

კამათი და აზრთა გაცვლა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. მერე კი მატჩის დირექტორმა და სადისციპლინო კომიტეტის წევრმა ***ამირან კაჭახიძემ*** შეაჯამა ყველაფერი და მოკლედ მოჭრა: „დარღვევები, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ თამაშის დამთავრება შეიძლებოდა! ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ“.

მერე დისციპლინარებმა დარბაზის დატოვება გვთხოვეს, გადაწყვეტილების გამოსატანად ორივე გუნდის მიერ მიწოდებული ფირი ნახეს, გაარჩიეს და ხუთპუნქტიანი დადგენილება გამოიტანეს:

1. რევაზ გეწაძეს გაფრთხილება და 200-ლარიანი ჯარიმა;

2. დავით გამეზარდაშვილს და თორნიკე აფციაურს 5-5 მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 500-500 ლარიანი ჯარიმა;

3. დებულების 1.8 პუნქტის თანახმად ორივე გუნდს ჩაეთვალა 0:3 წაგება და დაჯარიმდნენ 5000-5000 ლარით;

4. „ტორპედოს“ სტადიონი დასჯილია ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით;

5. მატჩის მსაჯების საკითხი გადაეცა სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს გამოსაძიებლად.

ასე რომ, გადაწყდა: „ტორპედო“ გავიდა მეორე ადგილზე და ზაფხულში უეფას თასზე ითამაშებს, „თბილისი“ კი... ამის შესახებ კლუბის დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა ეს გვითხრა: „სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას აბსოლუტურად ვეთანხმები ერთი გამონაკლისის გარდა: დღემდე არ გამეგო, თუ შეიძლებოდა, ორივე გუნდს 0:3 წაგება ჩაეთვლება. ეს რა სისულელეა?! არ ჯობდა, ჩვენთვის ჩაეთვალათ წაგება და „ტორპედოსთვის“ მოეგოთ?! ამას იცით, რატომ ვამბობ? იმიტომ, რომ მომავალი ჩემპიონატის ბოლო ტურში მსგავსი სიტუაცია არ განმეორდეს — ერთი ქულით რომ უსწრებდეთ სხვა გუნდს, ყველაფერი იოლად დამთავრდება. მატჩს საგანგებოდ ჩავშლი და ადგილსაც შევინარჩუნებ, ასე ხომ არაფერი გამოსწორდება?! მაგარი ჭკვიანი ხართ.

...ინტერტოტოს თასზე ვითამაშებთ თუ არა, არ ვიცი. კლუბის კრება გაიმართება, მწვრთნელ-ფეხბურთელებს მოვუსმენთ. ახალ პრეზიდენტსაც შევხვდებით და შესაძლოა, საერთოდ აღარ ვითამაშოთ მომავალ ჩემპიონატში.

**კახა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 36 | 23 | 6 | 7 | 73:27 | 75 |
| ტორპედო | 36 | 20 | 10 | 6 | 56:31 | 70 |
| თბილისი | 36 | 21 | 6 | 9 | 50:40 | 69 |
| ლოკომოტივი | 36 | 16 | 15 | 5 | 41:23 | 63 |
| ზესტაფონი | 36 | 16 | 5 | 15 | 38:46 | 53 |
| ვიტ ჯორჯია | 36 | 13 | 9 | 14 | 54:41 | 48 |
| სიონი | 36 | 12 | 4 | 20 | 35:57 | 40 |
| ბათუმი | 36 | 9 | 12 | 15 | 35:33 | 39 |
| კოლხეთი | 36 | 9 | 5 | 22 | 32:62 | 32 |
| დილა | 36 | 2 | 4 | 30 | 20:88 | 10 |





# ვიტ ჯორჯია უნდა დაბრუნდეს

## მუმლაძეს ახალგაზრდობა ხიბლავს



გადრი კოპილაძის ფოტო

**შარშანდელმა** ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ“ ეს სეზონი პირწმინდად ჩააგდო. მეორე ეტაპზე გუნდს ჯანი კარნევალი წვრთნიდა, მაგრამ ვერც მან მიახლოვა ვიტელები ლიდერთა ჯგუფს. შედეგად, იტალიელის ნაცვლად „ვიტ ჯორჯიაში“ ნესტორ მუმლაძე დაინიშნა, რომელიც ბოლოს თბილისის „დინამოში“ მუშაობდა გია გეგუჩაძის თანაშემწედ.

ვეტერინარებს პერსპექტიული ფეხბურთელები არასოდეს აკლდათ, მუმლაძეც იმედიანად მივიდა გუნდში და მიზანიც მიიტანა — „ვიტ ჯორჯია“ საუკეთესოთა შორის უნდა დაბრუნდეს, საამისო გზებს ვხედავო...

— ამბიციურ და ძლიერ კლუბში მოვედი. „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობამ გუნდის გაძლოლა დამავალა და უყოყმანოდ დავთანხმდი. თავისი არსებობის მანძილზე ვიტელები მუდამ მაღალი ადგილებისთვის იბრძოდნენ, შარშან ჩემპიონებიც გახდნენ და ახლანდელ შემადგენლობაშიც ვხედავ საკმაო პოტენციალს — ამბობს მუმლაძე.

ახალი მწვრთნელი ფეხბურთელებს ჯერ არ შეხვედრია, 17 ივნისამდე „ვიტ ჯორჯია“ ისვენებს. საერთოდ, ამ კლუბის პოლიტიკა ტრადიციულია: ყოველწლიურად რამდენიმე მოთამაშე მიდის, აქცენტი კი ახალგაზრდებზე კეთდება და ამ სეზონს თუ არ ჩავთვლით, მეთოდი ყოველთვის ამართლებდა.

„რა თქმა უნდა, ძლიერ ფეხბურთელებს ყველა მწვრთნელი ისურვებს. როგორც ვიცი, „ვიტ ჯორჯია“ ჯერ მხოლოდ ალექსანდრე ინწკირველმა დატოვა, შესაძლოა, სხვებიც წავიდნენ, მაგრამ ძირითადი ბირთვი რჩება. რა თქმა უნდა, ყველა ფეხბურთელს ვიცნობ, თუმც გამორჩეულებს ნუ დამასახელებინებთ. არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო“.

მუმლაძე ამას წინათ პირველლიგელი „ვიტ ჯორჯია 2“-ის თამაშსაც დასწრებია და მოსწონებია, იმედია, მესამე გუნდშიც იქნებიან მზარდი ახალგაზრდებიო. „ეს ფარმკლუბები დიდი შვებაა ჩვენთვის, მე არ მოვერიდები იქიდან ფეხბურთელების გადმოყვანას, ოღონდ ისინი ლიდერები უნდა იყვნენ და პირველ გუნდში თამაშს იმსახურებდნენ“.

მოკლედ, დარჩა სეზონისწინა მზადება, მე-17 ეროვნულ ჩემპიონატს კი „ვიტ ჯორჯია“ ეგებ გვარიანად შეცვლილი შეეგებოს, მაგრამ ამბიცია ძველებური იქნება.

**ილია ნანოგაშვილი**

# ნოდარ აკობიამ ზესტაფონი გამორიცხა



გადრი კოპილაძის ფოტო

**„ზესტაფონიდან“** თემურ მახარაძის მოხსნაზე ლაპარაკი არ წყდება. მართალია, ოფიციალურად ჯერ არავინ არაფერს ადასტურებს, მაგრამ ტრადიციის მიხედვით, ხმები უსაფუძვლო არ უნდა იყოს — თუ ამბობენ, ხშირად მართლდება ხოლმე. ისიც ითქვა, მახარაძის ნაცვლად „ზესტაფონი“ ნოდარ აკობიას სთავაზობს გუნდის თავკაცობასო, თუმცა „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა ეს პერსპექტივა გამორიცხა.

„ამ საკითხზე არავინ შემხმიანებია, ჩემი „ზესტაფონში“ წასვლა გამორიცხულია. შემოთავაზება რომც იყოს, „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი გავაფორმე და არსად გადასვლას არ ვაპირებ“ — გვითხრა აკობიამ.

**ილია ნანოგაშვილი**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

# ჩვენი მეტოქე

**დანიის** ნაკრების თავკაცმა მორტენ ოლსენმა 8 ივნისს ალბანეთთან სათამაშოდ 22 ფეხბურთელი გამოიძახა, მათ შორის ოთხი დებიუტანტია — დანიელ აგერი (ბრონდბიუ), ალან იეპსენი (ოლბორგი), იოლტე-ბო ნორეგაარდი (კოპენჰაგენი) და სორენ ლარსენი (იურგორდენი, შვედეთი).

სამაგიეროდ, ოლსენის გუნდი დანაკლისსაც ვერ ასცდა — მარტინ ლაურსენი, იესპერ გრონკიაერი და პეტერ მადსენი ტრავმების გამო ვერ დაეხმარებიან ნაკრებს.

***დანიის ნაკრები:*** *იესპერ კრისტიანსენი (ვიბორგი), თომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), ბრაიან პრისკე (გენკი, ბელგია), დანიელ აგერი (ბრონდბიუ), იან კრისტიანსენი (ესბიერგი), მიქაელ გრავგაარდი (ვიბორგი), ნიკლას იენსენი (დორტმუნდი, გერმანია), პერ კროლდრუპი (უდინეზე, იტალია), პერ ნილსენი (ბრონდბიუ), თომას ჰელვეგი (ნორვიჩი, ინგლისი), ალან იეპსენი (აკადემისკი), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), დანიელ იენსენი (ვერდერი, გერმანია), იოლტე-ბო ნორეგაარდი (კოპენჰაგენი), მიქაელ სილბერბაუერი (კოპენჰაგენი), რასმუს ვურცი (აკადემისკი), თომას გრავესენი (რეალი, ესპანეთი), დენის რომედალი (ჩარლტონი, ინგლისი), იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), კენეტ პერესი (ალკმაარი, ჰოლანდია), მარტინ იორგენსენი (ფიორენტინა, იტალია), მორტენ სკუბო (ბრონდბიუ), სორენ ლარსენი (იურგორდენი, შვედეთი).*



მორტენ ოლსენი



გადრი კოპილაძის ფოტო

ორი ვალერი: ჩუხრი და ჩოლარია

# ბაზა გვქონია, ჩუხრის უნახავს გაგხდის...

## ფიფა გაფრთხილებთ: გაუფრთხილდით არჩევნებს!

*საქართველოში კვლავ ჩამოვიდა დსთ-ს და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ფიფას პროგრამა „გოლის“ კურატორი ვალერი ჩუხრი. ბელარუსმა სტუმარმა საქართველოს ნაკრების ბაზა მოინახულა და სფფ-ის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან ერთად პრესკონფერენციაზე შეგვიძლვა ჟურნალისტებს.*

*„ეს უდავოდ მისაბაძი ბაზაა. მეტიც, საუკეთესოა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში“ — გვაამა ბატონმა ჩუხრიმ, რომელმაც, ცხადია, „გოლის“ საქმიანობაზეც ისაუბრა*

— „გოლის“ გარდა, ჩვენი პროგრამა ფინანსურ დახმარებასაც მოიცავს. მესამე პროგრამაში შედის ქალთა ფეხბურთის განვითარება. აგვისტოსა და ოქტომბერში საამისოდ სპეციალური კურსებიც ჩატარდება. აქვე გეტყვით, რომ 1975-1998 წლებში ჩვენი პროგრამით 32 მილიონი დოლარი დაიხარჯა, 1999-2004 წლებში კი თანხამ 874 მილიონს მიაღწია. მგონი, შედარებაც ზედმეტია. „გოლის“ მიერ ყოველ 4 წელიწადში თითოეული ქვეყანა წლიურად 250 ათას დოლარს იღებს, ამას ემატება ხელოვნურსაფარიანი მოედნების გასაკეთებლად გამოყოფილი 400 ათასი დოლარი, ანუ ოთხწლიან ციკლში მილიონ ოთხასი ათასს გამოვდივართ — განაცხადა ვალერი ჩუხრიმ.

ალბანეთთან თამაშიც გადაივლის და ქართული ფეხბურთის უაქტუალურესი თემა 11 ივნისის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები იქნება, რომელსაც ფიფადან დამკვირვებლებიც დაესწრებიან, მათ შორის ვალერი ჩუხრიც. ჩუხრის ვკითხეთ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა ჩაერევა არჩევნებში და დარღვევები იქნება. ბატონი ვალერის თქმით, ამ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, საქართველომ აზერბაიჯანის ბედი გაიზიაროს და ფიფას წევრობა ჩამოერთვას.

„აზერბაიჯანი რამდენიმე წელიწადი იყო გარიცხული ფიფადან, ბელარუსის ფიფაში ყოფნაც ბეწვზე ეკიდა და ამის მიზეზი სწორედ ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში დარღვევები იყო. ფეხბურთი პოლიტიკა არ არის, მაგრამ ბოლო წლებში ეს ორი სფერო ძალიან გადაჯაჭვულია ერთმანეთთან. ფიფას ეს არ მოსწონს და შეძლებისდაგვარად ებრძვის“ — ჩუხრიმ დაამატა, ვერც ერთ ხელისუფლების წარმომადგენელს ვერ დავუშლით ფავორიტი კანდიდატი ჰყავდეს, მაგრამ უშუალოდ არჩევნებში ჩარევა მძიმე შედეგის მომტანი იქნებაო.

პროგრამა „გოლის“ კურატორმა აღნიშნა, კარგი იქნება, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში კადრები არ შეიცვლება, თორემ ერთი ხელის მოსმით ყველას გაშვება ქართულ ფეხბურთს უკან დასწევსო. ცხადია, ჩუხრიმ ვალერი ჩოლარიას პერსონას გაუსვა ხაზი, როდესაც იგი გენმდივნობიდან გადააყენეს, არ ვიცოდით, ვისთან გვეწარმოებინა მოლაპარაკება და დახმარებები შევუწყვიტეთ თქვენს ფედერაციასო.

დასასრულ ერთს დავამატებთ: ჩუხრი კი ამბობს, საქართველოს ნაკრების ბაზა იდეალურიაო, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ლამაზ შენობასთან ერთად მინდვრებიც იქნება — ისეთი მინდვრები, სადაც, სულ ცოტა, სიარული არ გაგიჭირდება კაცს...

**ლუკა თალაკვაძე**

# სტრაჩანი სელტიკის სათავეში



გორდონ სტრაჩანი

**გორდონ სტრაჩანმა** განაცხადა, რომ სულ ნაბიჯიღა დარჩა იქამდე, რომ „სელტიკის" მენეჯერი შეიქნეს.

„სელტიკ პარკიდან" გამოსულმა სქოთმა თქვა: „ვამაყობ, რომ ის ადგილი შემომთავაზეს, მარტინ ონილს რომ ასეთი წარმატებით ეჭირა".

ანუ სტრაჩანი ფაქტობრივად, თანახმაა და მასთან ერთად მისი მარჯვენა ხელი გარი ჰენდრი იმუშავებს, რომელიც მის გვერდით „ქოვენთრისა" და „საუთჰემპტონშიც" იყო.

სტრაჩანი 15 თვეს უქმად იყო: „საუთჰემპტონიდან" ჯანმრთელობის მოწესრიგების მიზეზით წავიდა.

„მაშინ ვთქვი, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ვიმუშავებდი — თქვა 48 წლის მწვრთნელმა — ჰოდა, ახლა ეს შემთხვევაა. ხუთი წლის წინ ვერც გავბედავდი დათანხმებას. სიმართლე ითქვას და, ბოლო ორ კვირას უკვე ჩაბმული ვიყავი კლუბის საქმეებში. რა თქმა უნდა, მარტინის თანხლებით. ტრანსფერებზე ვმუშაობდი".

სტრაჩანს მაკლიშისთვისაც დაურეკავს, რომელიც „რეინჯერსის" თავკაცია:

„მან მითხრა, რომ „ოლდ ფირმი" ძალიან მძიმე რამ არის. ახლა „სელტიკ" — „რეინჯერსის" თამაშებში განსაკუთრებული ჟამი დგება. მათ ახლო მეგობრები წვრთნიან".

**ირაკლი გამყრელიძე**

# ირურეტაც წავიდა

**გალისიურ** „დეპორტივოში" ხავიერ ირურეტას ეპოქა დასრულდა — აუგუსტო სეზარ ლენდოირომ, ლაკორუნიელთა პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ სახელგანთქმულ მწვრთნელს შემცვლელს მალე მოუძებნის.

„ამ გადაწყვეტილებამდე ერთობლივად მივედით. ირურეტამ „დეპორტივოს" ბრწყინვალე გამარჯვებები მოუტანა და რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ მასთან კავშირს ყოველთვის შევინარჩუნებთ. უბრალოდ, ახლა თავად ხავიერმაც ჩათვალა საჭიროდ, რომ ხანგრძლივი შრომის შემდეგ დასვენება სჭირდება" — უთხრა სენიორ ლენდოირომ ესპანურ მედიას.

„კლუბში ბევრი რამ შეიცვლება — განაგრძობს პრეზიდენტი — გასულ პრიმერაში ცუდი შედეგები გვქონდა, ამიტომაც მომავალ ჩემპიონატში ყველანაირად ვეცდებით, „დეპორს" ძველი დიდება დავუბრუნოთ".



ხავიერ ირურეტას შვიდწლიანი ლაკორუნიული ერა დასრულდა

„დეპორტივოში" ხავიერ ირურეტა შვიდი წლის მანძილზე მწვრთნელობდა. მისი თავკაცობით კი კლუბმა ამ დროში ერთხელ ესპანეთის ჩემპიონობა, ერთხელ „კოპა დელ რეი" ანუ ქვეყნის თასი და ორჯერაც ესპანეთის სუპერთასი მოიგო.

**ლადო ხომერიკი**

# პარმა დაბანეს

**სერია A-ში** დარჩენისთვის მებრძოლი „პარმა" „ბოლონიასთან" გადათამაშების წინ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. გასულ უქმეებზე, „ლეჩესთან" დაძაბულ შეხვედრაში მომხდარი არეულობის გამო, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა პიეტრო კარმინიანის ექვსი შეგირდი — დომენიკო მორფეო, დანიელე ბონერა, ალბერტო ჯილარდინო, ფაბიო ვინიაროლი, ალესანდრო კონტინი და ხორხე ბოლანო ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

პარმელთა უფროსობა განსაკუთრებით გუნდის ლიდერების — ჯილარდინოს, მორფეოსა და ბონერას დისკვალიფიკაციაზე ჩივის. ამ სამი ფეხბურთელის გარეშე „ენიო ტარდინის" ბინადართა შანსები საგრძნობლად მცირდება. ერთი დანაკლისი კარლო მაცონეს გუნდსაც აქვს — „ბოლონია" პირველ მატჩში ბრაზილიელ მცველ ჟუარესს ვერ დაიხმარს.

შეგახსენებთ, რომ გადათამაშების პირველი მატჩი 14 ივნისს პარმაში გაიმართება, ხოლო საპასუხო ოთხი დღის შემდეგ ბოლონიაში.

აქვე ვთქვათ, რომ სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მომავალი სეზონის პირველ მატჩს შემდეგი მოთამაშეები გამოტოვებენ: მილანეტო, შოპი, დომიცი (ბრეშა), დანა, მორო (კიევო), კასეტი, დალა ბონა (ლეჩე), სკურტო (რომა), ვოლპი (სამპდორია), ვიალი (ფიორენტინა).

**გიორგი ძაძაბაძე**



ალბერტო ჯილარდინო პლეი ოფის პირველ მატჩს გამოტოვებს



ლუიჯი დელ ნერი „პალერმოში" დაამტკიცეს

# სიცილიელი დელ ნერი

**„პალერმოს"** ახალი თავკაცის ვინაობა ბევრად უფრო ადრე გაირკვა, ვიდრე ველოდით და ვიდრე ამას კლუბის უფროსობა ამბობდა. სიცილიელებს ამიერიდან ლუიჯი დელ ნერი გაწვრთნის. მან „რენცო ბარბერას" ბინადრებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სეზონში 570 ათას ევროს მიიღებს.

„ყველაფერი უცებ შევათანხმეთ. კარგი მწვრთნელი დავკარგეთ, მაგრამ მისი ღირსეული შემცვლელი ძალიან მალე ვიპოვეთ. იმედია, დელ ნერისთან ერთად არანაკლებ წარმატებულ სეზონს ჩავატარებთ" — განაცხადა „პალერმოს" პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ.

აქვე გავიხსენოთ, რომ დელ ნერიმ სახელი „კიევოში" ყოფნისას მოიხვეჭა, როდესაც მან ყველასათვის უცნობი კლუბი სერია A-ში დაამკვიდრა. შემდეგ მან ჟოზე მაურინიუ შეცვალა „პორტუში", მაგრამ რამდენიმე კვირაში ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო დატოვა პორტუგალიური კლუბი. ბოლოს კი იყო „რომაში" გატარებული ასევე საკმაოდ მოკლე და წარუმატებელი პერიოდი.

4-4-2 სისტემის მოყვარულ სპეციალისტს კიდევ არაერთი კლუბი უტრიალებდა, მაგრამ სიცილიელებმა ყველას დაასწრეს.

**გიორგი ძაძაბაძე**

# დრეიფუსის ფერნანდესი
## მარსელმა ტრუსიე შეჭამა

**„მარსელს"** ამ დღეებში ახალი მწვრთნელი ეყოლება. ფილიპ ტრუსიეს წასვლას ბეჭდის დასმაღა უკლია. მისი თავკაცობით გუნდმა ჩემპიონატის ბოლო შვიდ ტურში მხოლოდ სამი ქულა მოაგროვა და „მარსელი" უეფას თასზე ვერ მოხვდა. ტრუსიემ განაცხადა: „მარსელი" ის კლუბია, რომელიც მწვრთნელებს „ჭამს".

კლუბის პრეზიდენტ პაპე დიუფს სურს, რომ გუნდი ბრუნო მეტსიუს ჩააბაროს, ხოლო მთავარმეწილე რობერ ლუი დრეიფუსს სხვა კანდიდატი, „მეცის" თავკაცი ჟან ფერნანდესი შეურჩევია, რომელსაც 1992-ში, ექვსი თვის მანძილზე „მარსელში" უმუშავია.

ჟან ფერნანდესს „მეცთან" კონტრაქტი 2006 წლამდე აქვს, მაგრამ რობერ ლუი დრეიფუსი უკვე შეხვდა მას და მერე განაცხადა, ორ დღეში ყველაფერი გაირკვევაო. თვითონ ფერნანდესმა ეს ინფორმაცია დაადასტურა: „მარსელის" მწვრთნელობაზე უარის თქმა ძნელია, თუმც კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მომიწერია".

**გაგა ხუციშვილი**



ფილიპ ტრუსიე

# ხეტაფემ თქვა, ალკარასო

**კიკე სანჩეს ფლორესის** გარეშე დარჩენილ მადრიდულ „ხეტაფეს" მომავალ პრიმერაში მწვრთნელად სავარაუდოდ, „რასინგის" ამჟამინდელი თავკაცი ლუკას ალკარასი ეყოლება. შეგახსენებთ, რომ მადრიდელთა აწ ყოფილი თავკაცი კიკე ფლორესი გუშინწინ „ვალენსიაში" გადაბარგდა. „ხეტაფე" კი სანტანდერელ ლუკას ალკარასს დაუკავშირდა.

„რასინგის" მწვრთნელი, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა (38 წლისაა), საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტია, მისით „ოსასუნაცაა" დაინტერესებული, მაგრამ „მარკას" ცნობით, უფრო რეალური სწორედ „ხეტაფეა".

**ლადო ხომერიკი**



ფრანჩესკო ტოტიმ „რომასთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე გააფორმა

# რომამ ტოტი დაიგულა

**როგორც** მოსალოდნელი იყო, ფრანჩესკო ტოტიმ „რომასთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივა. დედაქალაქელთა კაპიტანი გუნდში 2010 წლამდე დარჩება და ალბათ კარიერასაც „სტადიო ოლიმპიკოზე“ დაასრულებს. რომაელებს მისი შენახვა საკმაოდ ძვირი დაუჯდებათ — 29 წლის პლეიმეიკერი სეზონში 7,5 მილინ ევროს მიიღებს.

„რომას“ უფროსობა, ისევე როგორც თავად ფეხბურთელი, მიღწეული შეთანხმებით ძალიან კმაყოფილია და კლუბის მომავალ პერსპექტივებზე ლაპარაკობს. შეგახსენებთ, რომ ტოტიმდე „გლადიატორებმა“ გუნდის კიდევ ერთ ლიდერთან, ვინჩენცო მონტელასთან გაახანგრძლივეს კონტრაქტი.

სამაგიეროდ, ახლა უკვე თითქმის წარმოუდგენელია, რომ „სტადიო ოლიმპიკოს“ ბინადრები ანტონიო კასანოს შენარჩუნებას შეძლებენ, რადგან ტოტის დიდი ხელფასი, მათ არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს. ახალგაზრდა ვარსკვლავიც ასევე სოლიდურ ჯამაგირს ითხოვს.

რაც შეეხება გუნდის მომავალ თავკაცს, ამ პოსტზე ნელ-ნელა იკვეთება ორი კანდიდატურა — ზდენეკ ზემანი და ჯოვანი ტრაპატონი. ამბობენ, ამ უკანასკნელს უფრო მეტი შანსი აქვსო.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ტრაპატონიმ ბენფიკა სამშობლოსთვის მიატოვა



ჯოვანი ტრაპატონი მსურველთა შეთავაზებას ელოდება

**ჯოვანი ტრაპატონიმ** ოფიციალური განცხადება გააკეთა „ბენფიკადან“ წასვლის შესახებ და 66 წლის სპეციალისტი უახლოეს დღეებში იტალიაში დაბრუნდება. მოგეხსენებათ, მან თერთმეტწლიანი პაუზის შემდეგ ლისაბონელებს ქვეყნის ჩემპიონატი მოაგებინა და კინაღამ დუბლსაც გამოკრა ხელი. მიუხედავად ამ წარმატებისა, ოჯახური პრობლემებისა და სამშობლოს მონატრების გამო მან კლუბის დატოვება გადაწყვიტა.

„დიდი მადლობა კლუბის ყველა წევრს ჩინებული სეზონისთვის. სამშობლოში დაბრუნება მინდოდა და „ბენფიკას“ მხოლოდ ამიტომ ვტოვებ. რაც შეეხება ჩემს მომავალ კლუბს, ჯერ არაფერი ვიცი. მზად ვარ, ნებისმიერი წინადადება განვიხილო“ — თქვა ტრაპმა.

თუმც აქამდე ჯოვანი ტრაპატონი, კლუბის ხელმძღვანელები და ფეხბურთელები გასული წლის იანვარში, „გიმარაეშთან“ მატჩისას გულის შეტევით დაღუპული მიკლოშ ფეჰერის ოჯახს ეწვივნენ და უნგრელი ფორვარდის მშობლებს პორტუგალიის ჩემპიონატის ოქროს მედალი ჩაუტანეს.

როგორც ამბობენ, ტრაპატონის „ბენფიკაში“ „აიაქსის“ ყოფილი თავკაცი რონალდ კუმანი შეცვლის, თუმც პოლ ლე გუენის კანდიდატურაც განიხილება.

**გიორგი ძაძაბაძე**

# დაუმმა ჭორები დაადუმა

**თურქეთის** ჩემპიონატის მოგების შემდეგ „ფენერბაჰჩეს“. ხელმძღვანელობა ევროპაში წარმატებულ გამოსვლაზე ფიქრობს და იმედს გუნდის გერმანელ თავკაც კრისტოფ დაუმზე ამყარებს. სტამბოლელებმა მასთან გუშინ ორი წლით გახანგრძლივეს კონტრაქტი და ტრანსფერებისთვის გარკვეული თანხის გამოყოფას შეჰპირდნენ.

არადა, აქამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, დაუმი გუნდს დატოვებს და რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდებაო. მის სავარაუდო შემცვლელად კი პოლ ლე გუენს ასახელებდნენ. თუმც 51 წლის დაუმი, როგორც უკვე გითხარით, „ფენერის“ უფროსობას ყველაფერზე შეუთანხმდა და ჭორებსაც წერტილი დაესვა.

„მშვენიერი სეზონი გვქონდა და დაუმის მუშაობით უკმაყოფილების საფუძველი არ გვაქვს. ახლა ევროპაში წარმატებულ თამაშზე და „ფენერბაჰჩეს“ კიდევ უფრო გაძლიერებაზე ვფიქრობთ“ — დასძინა ბოლოს კლუბის პრეზიდენტმა აზიზ ილდირიმმა.

**გიორგი ძაძაბაძე**



კრისტოფ დაუმს „ფენერბაჰჩეს“ უფროსობამ ნდობა გამოუცხადა

# გალა გერეტსს ჩააბარეს



ერიკ გერეტსი სამუშაოდ თურქეთში გადაბარგდა

**სტამბოლის** „გალათასარაის“ გეორგე ჰაჯის შემცვლელის მოსაძებნად ძალიან ცოტა დრო დასჭირდა. რუმინელის პოსტს „ვოლფსბურგიდან“ რამდენიმე დღის წასული ერიკ გერეტსი დაიკავებს. 51 წლის ბელგიელმა სპეციალისტმა კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა გახანგრძლივების პერსპექტივით.

გერეტსის მთავარი ამოცანა მომავალ სეზონში თურქეთის ჩემპიონატის მოგება და უეფას თასზე წარმატებით თამაში იქნება.

პარალელურად, „გალას“ უფროსობამ გუნდის ორ გამოცდილ ფეხბურთელთან, არიფ ერდემთან და ჰაქან უნსალთან ახალი შეთანხმება აღარ გააფორმა. სტამბოლელთა ხელმძღვანელობა აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებს და იმიტომ. კლუბისთვის ოთხ პერსპექტიულ მოთამაშესთან — არდა ტურანთან, მუსლაიმ ერდემთან, უგურ უკართან და იოზგურკან იოზკანთან შეფობამ პირიქით, ახალ, სამწლიან კონტრაქტებს მოაწერა ხელი.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ადრიანოს თასი უნდა

**ბრაზილიის** ნაკრებს რონალდოს შემდეგ ეგებ ადრიანოც გამოაკლდეს. „ინტერის“ ფორვარდმა უკვე სთხოვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას, სანაკრებო შეკრებებიდან გამათავისუფლეთ და კონფედერაციის თასზე უჩემოდ ითამაშეთო. მიზეზი კი იტალიის თასის ფინალური მატჩებია, რომლებიც 12 და 15 ივნისს გაიმართება.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ ადრიანო „რომას“ წინააღმდეგ პირველ შეხვედრაში ითამაშებს, მაგრამ გაათავისუფლებს თუ არა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია მას საპასუხო მატჩისთვისაც, ჯერ უცნობია.

„არ მინდა, რომელიმე მხარეს ვაწყენინო ან ურთიერთობა გავიფუჭო. ნაკრების თავკაცს უკვე ვესაუბრე და ბოლო სიტყვა ალბათ, მასზე იქნება. პირადად მე მინდა, „რომას“ წინააღმდეგ ორივე მატჩში ვითამაშო“ — აღნიშნა ადრიანომ.

ამასობაში, „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი „უდინეზეს“ ნახევარმცველ დავიდ პიზაროს შეძენას აპირებს და „იუვენტუსსაც“ შეეცილება ანტონიო კასანოში.

**გიორგი ძაძაბაძე**



რონალდოს დარად, ნაკრებიდან გათავისუფლება ადრიანომაც ითხოვა



საფრანგეთის ნაკრებმა ფლორენ მალუდას (№9) გოლის წყალობით რაიმონ დომენეკის მწვრთნელობისას პირველი საშინაო მატჩი მოიგო

# ფრანგებმა სახლის გემო გაიგეს

**რაიმონ დომენეკის** თავკაცობით საფრანგეთმა შინ პირველი მატჩი მოიგო — ჯიბრილ სისესა და ფლორენ მალუდას ორ გოლს უნგრელმა კერეკეშმა მეორე ტაიმში ერთით უპასუხა.

დომენეკმა შარშან ზაფხულს ჟაკ სანტინი შეცვალა. ფრანგებმა მას შემდეგ ზედიზედ ექვს საშინაო შეხვედრაში ფრე ითამაშეს. ზიდანი და მძანი მისი ნაკრებს დაემშვიდობნენ, გუნდი კი ხელახლა ასაწყობი გახდა.

მწვრთნელთან ნაჩხუბარი რობერ პირესი არ გამოიძახეს, არადა, ფრანგები უნგრელებს მეცში დაუხვდნენ, სადაც დაიბადა პირესი. მისი კარიერაც ამ ქალაქში დაიწყო და სტადიონზე შეკრებილი ქომაგები დომენეკის გასაგონად პირესის გვარს გაჰკიოდნენ.

მეათე წუთზე უნგრელი მცველები მეკარის თამამობით ჩაფლავდნენ, რითაც ჯიბრილ სისემ ისარგებლა და ტრავმის შემდეგ პირველივე სანკრებო მატჩში გოლი გაიტანა. შესვენებამდე ათი წუთით ადრე ფლორენ მალუდამ მეორე მიაყოლა. ფრანგთა დაცვა მეორე ტაიმში ერთხელ შეცდა, როცა შანდორ კერეკეში გაექცათ და უნგრელმაც თავისი შანსი გამოიყენა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ოუენი ერიქსონის მობილურია

**ინგლისის** ნაკრებმა ამერიკულ ტურნეში მაიკლ ოუენის ჰეთ თრიქით კოლუმბია დაამარცხა.

ბრიტანელთა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა ნამატჩევს თქვა, ოუენი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოაო. „მან სამი ფანტასტიკური გოლი გაიტანა, ეს არცაა გასაკვირი, რადგან ბრწყინვალე ფორვარდია".

მადრიდის „რეალის" თავდამსხმელს ახლა 32 სანკრებო გოლი მოუგროვდა და ბობი ჩარლტონის რეკორდამდე (49) თექვსმეტიღა უკლია.

ინგლისელები პირველი ტაიმის მიწურულს დაწინაურდნენ. ოუენმა ფარიდ მონდრაგონს ბურთი თავზე გადაავლო და კარში ჩასვა. შემდეგ კი დებიუტანტ პიტერ კრუჩის პასით ახლოდან მეორე გაიტანა.

კოლუმბიელებმა შესვენებამდე ერთის გაქვითვა შეძლეს: მარიო იეპესის ნათავურალი ბურთი კარის ხაზზე მდგარ დევიდ ჯეიმსსა და ეშლი კოულს შორის გაძვრა. მეკარით უკმაყოფილო ერიქსონმა ჯეიმსი მეორე ტაიმში ნორვიჩელი რობერტ გრინით შეცვალა, რომლისთვისაც ეს პირველი სანკრებო მატჩი გამოდგა.

მაიკლ ოუენმა მესამედ დევიდ ბექემის პასით იხეირა, ხოლო ორ წუთში მეოთხის გატანაც შეეძლო.

კოლუმბიელმა რამირესმა თამაშის დასრულებამდე თორმეტი წუთით ადრე გრინს ახლო კუთხეში გაუტანა, მაგრამ ამის შემდეგ ინგლისელებმა დაცვაში ყოჩაღად ითამაშეს და ორივე „ამერიკული" მატჩი მოიგეს.

**ვაჟა ხუციშვილი**



მაიკლ ოუენმა (№10) კოლუმბიელები ჰეთ თრიქით დაასაჩუქრა

# ქალბატონი კასანოს მიადგა
## ნონდა ექიმებმა დაიწუნეს

**„იუვენტუსის"** გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა ატეხილი. მიუხედავად იმისა, რომ კლუბის გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი ირწმუნება, ანტონიო კასანოს ყიდვას აღარ ვაპირებთო.

აპენინური პრესის მიხედვით, ტურინელებმა უკვე დაიწყეს 23 წლის ფეხბურთელის შეძენაზე ზრუნვა.

ამბობენ, მოჯი უკვე შეხვდა „რომას" ერთ-ერთ მმართველ როზელა სენსის და კასანოს სანაცვლოდ 9 მილიონ ევროსთან ერთად ადრიან მუტუ შესთავაზაო. სავარაუდოდ, „რომა" უფრო დიდ თანხას მოითხოვს, მაგრამ როგორც ამბობენ, თუ ტურინელები მართლაც ისურვებენ ახალგაზრდა ვარსკვლავის შეძენას, მხარეებს შეთანხმება არ გაუჭირდებათ. ვთქვათ ისიც, რომ კასანოზე ხელი ჯერ მადრიდის „რეალსაც" არ ჩაუქნევია.

ნავარაუდევი იყო, რომ „იუვენტუსი" „რომას" შაბანი ნონდასაც უყიდდა, მაგრამ „მონაკოს" ყოფილმა ფორვარდმა სამედიცინო შემოწმება ჩაგდო და ალბათ, „ბებერ ქალბატონში" ვეღარ ჩაირიცხება. სამაგიეროდ, ჯანმრთელობასთან არანაირი პრობლემა არ აქვს რობერტ კოვაჩს და ხორვატი მცველი უახლოეს დღეებში



ანტონიო კასანო „იუვენტუსში" ალბათ მართლა გადავა

ტურინელებთან კონტრაქტს გააფორმებს.

ამასობაში, იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საფეხბურთო აგენტი დარიო კავონი თვლის, რომ დიდი შანსია, „იუვენტუსმა" მადრიდის „რეალს" ემერსონი დაუთმოს ვალტერ სამუელის სანაცვლოდ. სავარაუდოდ „სამეფო კლუბი" ამ გაცვლის წინააღმდეგი არ იქნება, რადგანაც არგენტინელი მცველი ესპანეთში ვერაფრით ათამაშდა.

დარიო კავონი: „ეს უსაფუძვლო ჭორები ნამდვილად არ არის. მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობს და ტურინელები რეჯინელ მოცარტს და სხვა გასულ სეზონში გამორჩეულ ნახევარმცველებს ახიტომაც უტრიალებენ".

„ფიორენტინაში" განათხოვრებული ჯორჯო კიელინი კი „დელე ალპიზე" დაბრუნდება. ეს ინფორმაცია უკვე დაადასტურა ტურინელთა დირექტორმა ანტონიო ჯირაუდომ — 20 წლის მცველს ფლორენციელთა რიგებში ძალიან წარმატებული სეზონი ჰქონდა და მან, ისევე, როგორც ფაბიო კაპელოზე, „სკუადრა აძურას" თავკაც მარჩელო ლიპიზეც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

რაც შეეხება ფაბრიციო მიკოლისა და ენცო მარესკას, ისინი „იებში" დარჩებიან. სავარაუდოდ, „ფიორენტინა" მათ კონტრაქტს ბოლომდე გამოისყიდის: მარესკაში ფლორენციელებს დაახლოებით 2,5 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ, ხოლო მიკოლიში ორჯერ მეტის.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ლუშემბურგო და მისი ამფსონები
## მისი მისია შესრულებადია



ვანდერლეი ლუშემბურგო: მართალი გითხრათ, დევიდ ბექემი თავიდან ცოტა ზარმაცი კაცი მეგონა

*(დასაწყისი წინა სარბიელში)*

**ზემოთ**, ლუშემბურგოს ბანაკის ბოლო ბრაზილიელი წევრი, მარკოს მურა ტეიშეირა არ გვიხსენებია. ეს ადამიანი მისი ასისტენტი გახლავთ და აი, რით არის დაკავებული: მას ორი თანაშემწე ჰყავს, რომლებიც ყოველ კონკრეტულ მატჩამდე სამი კვირით ადრე სწავლობენ და აანალიზებენ მოწინააღმდეგის თამაშს, შემდეგ კი თავიანთი ანალიზის შედეგები მარკოს მურა ტეიშეირასთან მიაქვთ. ხსენებული ტეიშეირა ამ ორი დასკვნის და მოგროვებული მასალების მიხედვით მოწინააღმდეგეზე საბოლოო შთაბეჭდილებას იქმნის და უკვე თავისი მომზადებული „მოხსენებით“ შედის ლუშემბურგოსთან ტაქტიკის შესამუშავებლად.

ზოგადად ლუშემბურგო ცნობილია, როგორც ადამიანი, რომელიც ნიადაგ ცდილობს თავისი გუნდის ტაქტიკა საკუთარი მოთამაშეებიდან გამომდინარეააწყოს, მაგრამ ბევრ აქცენტს მოწინააღმდეგის მიხედვითაც სვამს.

ყოველ მატჩამდე ორი საათით ადრე, ლუშემბურგო თავის ხალხს მთელ მომზადებულ მასალას აჩვენებს: მეტოქის დამახასიათებელი მომენტების ვიდეოჩანაწერებს, მათ კუთხურებს, ამა თუ იმ მოთამაშისთვის ტიპიურ ეპიზოდებს... და საკუთარ გეგმას აცნობს, ოღონდ უნდა ითქვას, რომ მის გეგმებში „რეალის“ წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტადაა გათვალისწინებული ფიზიკური მომენტი — ბოლო თვეებში, „სანტიაგო ბერნაბეუ“ თავის ფეხბურთელებს შორის გაცილებით ნაკლებ მანძილებს ხედავს, ატყობს, რომ დაცვა უფრო ხისტი და მკაცრია, ხოლო თავდასხმა სწრაფი და დინამიური.

გითხრათ, ყველაზე მეტად რის გამო აკრიტიკებენ ლუშემბურგოს? იმის გამო, რომ ლა ლიგის, იმავე პრიმერადივიზიონის გუნდების უმეტესობისგან განსხვავებით, გარემარბების უფლებები შეკვეცა, მაგრამ მეორეს მხრივ, ამით „რეალის“ ფლანგებს განა რაიმე დააკლდა? განა ლა ლიგაში ბევრ გუნდს ჰყავს მისი დარი აქტიური და სწრაფი განაპირა მცველები?

საერთოდ, ლუშემბურგო და შემტევი ფეხბურთი განუყრელი ცნებებია. ბრაზილიაში ხშირად უნახავთ მისი გუნდი 1:0-ს რომ იგებდა, მას კი მცველი თავდამსხმელით შეუცვლია, რადგან ასეთი ანგარიში არ აკმაყოფილებდა. დაგვეთანხმებით, მსოფლიოს მწვრთნელთა უმეტესობა ასეთ დროს პირიქით იქცევა, ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობს.

„თუ რისკი არ გიყვარს, ვერაფერს მოიგებ. წინ თუ არავინ წავა, თამაში 0:0 დამთავრდება და ეგ არის. შეტევა დიდი საიდუმლოა და ამიტომაც ვართ ბრაზილიელები მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები“ — ამბობს „რეალის“ თავკაცი.

ახლა კი სიტყვა გადავიტანოთ კაცზე, რომელიც მადრიდული ცვლილებებით ძალიან, ძალიან კმაყოფილია. დევიდ ბექემზე მოგახსენებთ. იგი ლუშემბურგოს გამოჩენამდე რამდენიმე თვით ადრე გვარიან გასაჭირში გახლდათ ჩავარდნილი, მაგრამ მივიდა ბრაზილიელი მწვრთნელი, ამპლუა შეუცვალა, ჩვეულ, მარჯვენა ფრთას დაუბრუნა და სასიკეთო შედეგიც მიიღო.

„ის ჩემი გუნდის მეორე ნახევარმცველია. ხალხს ჰგონია, რომ გარემარბად ვათამაშებ, მაგრამ ეს მართალი არ არის. ბექემს მარჯვენიდან შუაში შესვლას ან წინ წასვლას არავინ უზღუდავს — განმარტავს ლუშემბურგო — სამწუხაროდ, მთელს მსოფლიოში გავრცელებულია სრულიად სულელური შთაბეჭდილება, თითქოს ის მაისურების გასაყიდად იყოს საჭირო და მეტი არაფერში არ ვარგოდეს. მართალი გითხრათ, თავიდან ცოტა ზარმაცი კაცი მეგონა, მაგრამ ვაღიარებ, რომ აბსოლუტურად მტყუანი ვიყავი. ის საოცრად ბევრს ვარჯიშობს, მოწადინებულია და მზადაა, ყველას ხელი შეუწყოს. მასთან ურთიერთობაში მცირე პრობლემაც კი არასდროს მქონია და ძალიანაც ვამაყობ, დევიდ ბექემი ჩემი ფეხბურთელი რომ არის“.

საინტერესოა და დამალულიც არ გახლავთ, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტნისგან განსხვავებით, ვანდერლეი ლუშემბურგო პატივს არ სცემს პორტუგალიელ ლუიშ ფიგუს. თავიდან ლუშემბურგომ ფიგუ მოედნის შუაში შესწია, რათა იგი ოცნების გუნდის ცენტრალური ფიგურა, გონი ყოფილიყო, მაგრამ ამან არ გაამართლა. პრობლემა კი მარტივია: ფიგუ, როგორც ნამდვილი გარემარბი, ბურთს საჭიროზე დიდხანს იყოვნებს, მწვრთნელი კი დარწმუნებულია, რომ თანამედროვე ფეხბურთში მთავარი სისწრაფეა. დახეთ რას ამბობს:

„თავდამსხმელი თუ სწრაფია, უნიჭოც რომ იყოს, მოწინააღმდეგის მცველებს შეაწუხებს, ხოლო ისინი, ვისაც სისწრაფე, სიმძლავრე და ტექნიკა აქვს მიმაღლებული, წარმატებისთვის არიან დაბადებულნი. ფეხბურთი უწინდელთან შედარებით გვარიანად შეიცვალა, კარში დარტყმის და გოლის გატანის უნარის გარდა, თავდამსხმელს გოლის გატანის ალღოც უნდა ჰქონდეს“.

ახალგაზრდა ბრაზილიელი ვარსკვლავი რობინიო კი ლუშემბურგოს „სანტოსში“ ჰყავდა თავისთან.

„წარმოიდგინეთ 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისდროინდელი მარადონა ან ზიკო. ისინი გენიოსები იყვნენ და მათ ფეხბურთს სისწრაფე შემატეს. სწორედ სისწრაფემ აქცია ისინი ზიკოდ და მარადონად“ — ამბობს ლუშემბურგო და რობინიოს „რეალში“ გადაყვანას ეშურება.

თუმცა, სისწრაფის თემას ნუ გადავუხვევთ. როგორც ლუშემბურგო, ასევე მელო ამბობენ, სწრაფი ფეხბურთი ბევრ სირბილს არ ნიშნავს.

„ბევრი სირბილი იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელმა პოზიცია დაკარგა — ამბობს მელო — მოკლედ, ყველაფერზე მნიშვნელოვანი პოზიციის შერჩევაა და ამიტომაც ვცდილობ მოთამაშეებს თამაშის ტაქტიკური ნაწილის მნიშვნელოვნება გავაგებინო. მათაც კი, ვისაც ოსტატობა მოჭარბებულად აქვთ, ზუსტად უნდა იცოდნენ, რას და როგორ აკეთებენ, მატჩის განმავლობაში საიდან, საით უნდა გარბოდნენ“.

მაგრამ, ესპანეთის ჩემპიონი „ბარსელონა“ გახდა, ჩემპიონთა ლიგიდან „რეალი“ „იუვენტუსმა“ გამოაგდო და პრესაშიც კრიტიკული აზრი მომწიფდა. ასეთ დროს ლუშემბურგოსთვის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ამ მხარდაჭერამაც არ დააყოვნა — არიგო საკიმ, ადამიანმა, რომელიც „რეალის“ ყოველდღიური ვარჯიშის დამსწრე და ლუშემბურგოს ესპანეთში ჩამომყვანია, განაცხადა:

„ამ კაცმა ფეხბურთში აბსოლუტურად ყველაფერი იცის.“

ეს რას ნიშნავს? იმას, რომ არიგო საკი ბრაზილიელი მწვრთნელის მუშაობით ძალიან კმაყოფილია კმაყოფილია ფეხბურთელთა უმეტესობაც და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესიც.

წინ კი მომდევნო სეზონია, რომელშიც ვანდერლეი ლუშემბურგომ უნდა შეძლოს ის, რაც ბრაზილიაში თავის უკლებლივ ყველა გუნდთან გაუკეთებია — ჩემპიონის ტიტული უნდა მოიგოს.

„მე ჩემი ნავი შუაგულ ზღვაში შევიყვანე და ახლა უნდა გამოვცურო. ერთი ხელის მოსმით ყველაფრის შეცვლა კი შეუძლებელია, რადგან აქ სხვა კულტურაა, ჩემთვის უცხო, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ამდენი რაიმეს გაკეთებას პირველსავე სეზონში არ ველოდი. როდესაც მშიერი ხარ, ყველგან წახვალ. მე ყოველთვის მინდოდა ევროპაში ძალების მოსინჯვა და აი, ახლა კლუბთა სამყაროს სულეთის სათავეში ვარ. ეს მწვერვალია და აქედან ვერაფერი გადამახვევინებს, ვერც ცივი ზამთარი და ვერც სხვა მიზეზი. ბრაზილიაში მხოლოდ მაშინ დავბრუნდები, როდესაც აქ ჩემს მისიას ამოვწურავ.“

**პაატუნა ქედია**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 42 | რუზელარე-ვაასლანდი | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 22:30 | 43 | ანტვერპენი-გეელი | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 44 | დალუმი-ნესტვედი | 2.05 | 3.8 | 2.8 | 1.33 | 1.18 | 1.61 |
| 17:00 | 45 | ბრიონსჰოი-ვეილე | 2.65 | 3.6 | 2.2 | 1.52 | 1.2 | 1.36 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 15:00 | 46 | აკადემისკი-სკიოლდი | 2.05 | 3.8 | 2.8 | 1.33 | 1.18 | 1.61 |
| 15:00 | 47 | ბ 93-ჰელერუპი | 3.6 | 3.7 | 1.8 | 1.82 | 1.2 | 1.21 |
| 15:00 | 48 | იოლსტრუპ-სიონდერიისკე | 3.8 | 4.0 | 1.7 | 1.94 | 1.17 | 1.19 |
| 17:00 | 50 | კიოგე-ფრედერისია | 1.55 | 3.8 | 5.0 | 1.1 | 1.18 | 2.15 |
| 17:00 | 51 | ნიკიობინგი-ფრემადი | 2.4 | 3.7 | 2.45 | 1.45 | 1.21 | 1.47 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 74 | ჰაკა-ინტერი | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |
| 20:00 | 75 | ტპ 47-მიუპა | 3.2 | 3.0 | 2.05 | 1.54 | 1.24 | 1.21 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 76 | ჰიკ-ალიანსი | 2.05 | 3.0 | 3.2 | 1.21 | 1.24 | 1.54 |
| 17:00 | 77 | კუოპიო-მარიეჰამნი | 2.2 | 3.1 | 2.8 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 78 | კტპ-როვანიემი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 81 | კორკი-პერპსი | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| 22:45 | 82 | დერი-დროგედა | 2.15 | 3.1 | 2.9 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 22:45 | 83 | შემროკი-ბოჰემიანი | 2.6 | 3.0 | 2.45 | 1.39 | 1.26 | 1.34 |
| 22:45 | 84 | სტ.პატრიკსი-ბრეი | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 22:45 | 85 | დუბლინი-შელბურნი | 3.4 | 3.2 | 1.9 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 80 | უოტერფორდი-ლონგფორდი | 2.1 | 3.0 | 3.1 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 19:00 | 145 | განა-ბურკინა ფასო | 1.45 | 3.6 | 7.0 | 1.03 | 1.2 | 2.37 |
| 21:00 | 146 | ლიბია-კოტ დიუარი | 5.8 | 3.4 | 1.55 | 2.14 | 1.22 | 1.06 |
| 18:00 | 154 | ანგოლა-ალჟირი | 1.8 | 3.2 | 4.1 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| 17:00 | 196 | უზბეკეთი-ს.კორეა | 4.3 | 3.2 | 1.7 | 1.83 | 1.21 | 1.11 |
| 22:05 | 197 | ს.არაბეთი-კუვეიტი | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 18:30 | 198 | ირანი-კორეა | 1.25 | 4.9 | 9.5 | 1.0 | 1.1 | 3.23 |
| 20:30 | 199 | ბაჰრეინი-იაპონია | 4.0 | 3.2 | 1.8 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 101 | რუსეთი-ლატვია | 1.35 | 4.2 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 18:00 | 102 | შოტლანდია-მოლდოვა | 1.45 | 3.9 | 6.5 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| 19:00 | 103 | აზერბაიჯანი-პოლონეთი | 8.0 | 4.8 | 1.3 | 3.0 | 1.11 | 1.02 |
| 19:00 | 104 | ესტონეთი-ლიხტენშტაინი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 19:00 | 105 | სომხეთი-მაკედონია | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 19:00 | 106 | ჩეხეთი-ანდორა | 1.01 | 12.0 | 35.0 | 1.0 | 1.0 | 8.93 |
| 19:00 | 107 | ბულგარეთი-ხორვატია | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:15 | 108 | შვედეთი-მალტა | 1.02 | 10.0 | 30.0 | 1.0 | 1.0 | 7.5 |
| 19:30 | 109 | ფარერები-შვეიცარია | 12.0 | 6.0 | 1.15 | 4.0 | 1.04 | 1.0 |
| 20:15 | 110 | უკრაინა-ყაზახეთი | 1.05 | 10.0 | 25.0 | 1.0 | 1.0 | 7.14 |
| 21:00 | 111 | ბელარუსი-სლოვენია | 2.15 | 3.0 | 3.3 | 1.25 | 1.3 | 1.57 |
| 22:00 | 112 | თურქეთი-საბერძნეთი | 2.0 | 3.0 | 3.6 | 1.2 | 1.28 | 1.63 |
| 22:05 | 113 | ისლანდია-უნგრეთი | 2.6 | 3.0 | 2.55 | 1.39 | 1.28 | 1.37 |
| 22:15 | 114 | სერბია-ბელგია | 1.7 | 3.4 | 4.6 | 1.13 | 1.24 | 1.95 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 115 | ნორვეგია-იტალია | 3.5 | 3.1 | 2.05 | 1.64 | 1.29 | 1.23 |
| 22:30 | 116 | სან მარინო-ბოსნია | 12.0 | 6.0 | 1.15 | 4.0 | [illegible] | [illegible] |
| 22:30 | 117 | ირლანდია-ისრაელი | 1.5 | 3.8 | 5.8 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| 22:30 | 118 | პოლანდია-რუმინეთი | 1.45 | 3.9 | 6.5 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| 22:30 | 119 | ალბანეთი-საქართველო | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 22:45 | 120 | პორტუგალია-სლოვაკეთი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 23:30 | 121 | ესპანეთი-ლიტვა | 1.15 | 6.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.21 |
| 17:00 | 147 | ბოტსვანა-ტუნისი | 5.8 | 3.5 | 1.55 | 2.18 | 1.22 | 1.07 |
| 21:00 | 148 | კაპე ვერდე-სამხრეთ აფრიკა | 3.5 | 3.0 | 2.05 | 1.61 | 1.29 | 1.21 |
| 19:00 | 149 | ბენინი-კამერუნი | 6.5 | 3.7 | 1.45 | 2.35 | 1.18 | 1.04 |
| 23:00 | 150 | მაროკო-მალავი | 1.15 | 6.5 | 13.0 | 1.0 | 1.05 | 4.33 |
| 23:00 | 151 | დრ კონგო-უგანდა | 1.55 | 3.5 | 5.8 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 22:00 | 152 | ეგვიპტე-სუდანი | 1.15 | 5.8 | 13.0 | 1.0 | 1.05 | 4.01 |
| 23:45 | 188 | ტრინიდადი-პანამა | 1.8 | 3.2 | 3.9 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 23:45 | 189 | გვატემალა-მექსიკა | 5.2 | 3.4 | 1.6 | 2.05 | 1.22 | 1.08 |
| 23:45 | 190 | აშშ-კოსტა რიკა | 1.5 | 3.8 | 5.5 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 23:45 | 191 | ვენესუელა-ურუგვაი | 2.65 | 3.1 | 2.5 | 1.42 | 1.28 | 1.38 |
| 23:45 | 192 | ჩილე-ბოლივია | 1.5 | 3.6 | 5.8 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 23:45 | 193 | ეკვადორი-არგენტინა | 3.9 | 3.3 | 1.8 | 1.78 | 1.23 | 1.16 |
| 23:45 | 194 | კოლუმბია-პერუ | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 153 | ზიმბაბვე-გაბონი | 1.7 | 3.3 | 4.8 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 18:30 | 155 | კონგო-სენეგალი | 7.0 | 3.5 | 1.45 | 2.33 | 1.2 | 1.02 |
| 19:30 | 156 | ტოგო-ზამბია | 2.05 | 3.1 | 3.2 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 21:00 | 157 | მალი-ლიბერია | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 20:30 | 158 | გვინეა-კენია | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 159 | რუანდა-ნიგერია | 7.0 | 4.0 | 1.35 | 2.54 | 1.13 | 1.0 |
| 23:00 | 195 | ბრაზილია-პარაგვაი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 177 | ფინეთი-დანია | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 184 | ჩრდ.ირლანდია-გერმანია | 7.0 | 3.9 | 1.4 | 2.5 | 1.16 | 1.03 |
| | | **ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)** | | | | | | |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 123 | აზერბაიჯანი (21)-პოლონეთი(21) | 6.0 | 4.3 | 1.4 | 2.5 | 1.13 | 1.05 |
| 18:00 | 124 | ალბანეთი(21)-საქართველო(21) | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 19:00 | 125 | ბულგარეთი (21)-ხორვატია(21) | 2.9 | 3.1 | 2.2 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 19:30 | 126 | სერბია(21)-ბელგია(21) | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 20:00 | 127 | უკრაინა(21)-ყაზახეთი (21) | 1.05 | 8.0 | 13.0 | 1.0 | 1.0 | 4.95 |
| 20:00 | 128 | ბელარუსი(21)-სლოვენია(21) | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 21:00 | 129 | შვედეთი(21)-მალტა(21) | 1.05 | 8.5 | 15.0 | 1.0 | 1.0 | 5.42 |
| 21:00 | 130 | ირლანდია(21)-ისრაელი (21) | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 21:30 | 131 | ჰოლანდია(21)-რუმინეთი(21) | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 22:00 | 132 | ნორვეგია(21)-იტალია(21) | 3.2 | 3.1 | 2.0 | 1.57 | 1.23 | 1.21 |
| 22:00 | 133 | თურქეთი(21)-საბერძნეთი(21) | 1.9 | 3.1 | 3.5 | 1.17 | 1.23 | 1.64 |
| 23:45 | 134 | ესპანეთი(21)-ლიტვა(21) | 1.1 | 6.5 | 15.0 | 1.0 | 1.02 | 4.53 |
| 22:00 | 135 | ისლანდია(21)-უნგრეთი(21) | 2.2 | 3.1 | 2.8 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 22:30 | 136 | სან მარინო(21)-ბოსნია(21) | 9.0 | 5.3 | 1.2 | 3.33 | 1.05 | 1.0 |
| 22:45 | 137 | შოტლანდია(21)-მოლდოვა (21) | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 23:45 | 138 | პორტუგალია(21)-სლოვაკეთი(21) | 1.3 | 4.5 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.81 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 14:00 | 122 | სომხეთი(21)-მაკედონია(21) | 2.9 | 3.2 | 2.2 | 1.52 | 1.25 | 1.3 |
| 13:00 | 139 | რუსეთი(21)-ლატვია(21) | 1.25 | 4.8 | 8.5 | 1.0 | 1.08 | 3.06 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 141 | ოსერი-სედანი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

**ლიბერტადორესის თასი**
**2 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 185 | ბანფილდი-რივერ პლეიტი | 2.45 | 3.1 | 2.5 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 23:45 | 186 | ჩივასი-ბოკა ხუნიორსი | 2.1 | 3.2 | 2.9 | 1.26 | 1.21 | 1.52 |

**ჰოლანდია. პლეი ოფი**
**3 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 214 | ვენლო-ვოლენდამი | 2.9 | 3.4 | 2.1 | 1.56 | 1.21 | 1.29 |
| 22:00 | 215 | როზენდალი-ტელსტარი | 1.6 | 3.7 | 4.5 | 1.11 | 1.18 | 2.03 |
| 22:00 | 216 | ზვოლე-ჰელმონდი | 2.6 | 3.6 | 2.25 | 1.5 | 1.2 | 1.38 |
| 22:00 | 217 | სპარტა-გრააფსხაპი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |

**ჩოგბურთი.კაცები პროსტეიოვი თიხნარი**
**2 ივნისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 326 | დლოუჰი-მარკაჩო | 1.25 | 3.3 |
| 13:00 | 327 | ნიემინენი-სერა | 1.4 | 2.4 |
| 13:00 | 328 | ბერდიხი-კოელერერი | 1.25 | 3.3 |
| 14:00 | 330 | ვიკი-ბოგომოლოვი | 1.3 | 2.5 |

**ჩოგბურთი.კაცები სურბიტოგი ბალახი**
**2 ივნისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 14:00 | 331 | ბეიკერი-დე ვოესტი | 1.65 | 1.95 |
| 14:00 | 332 | დანჩევიჩი-ოკუნი | 1.7 | 1.9 |
| 14:00 | 333 | კარლოვიჩი-მახუტი | 1.4 | 2.4 |
| 14:00 | 334 | მორისონი-რეტერმაიერი | 1.3 | 2.8 |

**ჩოგბურთი. კაცები. ფიურტი. თიხნარი.**
**2 ივნისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 14:00 | 335 | ლოპესი მ-ფაუ | 1.5 | 2.3 |
| 14:00 | 336 | ელსნერი-ანდერსენი ჯ. | 1.5 | 2.3 |
| 14:00 | 337 | ტენკონი-სამერერი | 1.5 | 2.4 |
| 14:00 | 338 | კოლშრაიბერი-სილვა | 1.6 | 2.0 |

**იტალია. სერია C1. პლეი ოფი**
**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 206 | მანტოვა-ფროზინონე | 1.9 | 2.8 | 4.1 | 1.13 | 1.29 | 1.66 |
| 18:00 | 207 | პავია-გროსეტო | 2.05 | 2.5 | 4.1 | 1.12 | 1.36 | 1.55 |
| 18:00 | 208 | აველინო-რეჯინა | 1.85 | 2.7 | 4.7 | 1.09 | 1.32 | 1.71 |
| 18:00 | 209 | ნაპოლი-სამბენედეტეზე | 1.65 | 2.8 | 6.2 | 1.03 | 1.3 | 1.92 |

**ჩოგბურთი.კაცები**
**Roland Garros**
**2 ივნისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 317 | ფედერერი-ნადალი | 1.65 | 2.0 |

**ჩოგბურთი.ქალები**
**Roland Garros**
**2 ივნისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 315 | ენინი-პეტროვა | 1.2 | 4.2 |
| 13:00 | 316 | პერსი-ლიხოვცევა | 1.3 | 3.15 |

**ფრენბურთი.კაცები**
**მსოფლიო ლიგა.**
**3 ივნისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 21:00 | 320 | პოლონეთი-საბერძნეთი | 1.4 | 2.4 |
| 21:00 | 321 | საფრანგეთი-ბულგარეთი | 1.25 | 3.0 |
| 21:00 | 322 | იტალია-კუბა | 1.3 | 2.9 |
| 21:00 | 323 | არგენტინა-სერბია | 1.65 | 2.0 |

**4 ივნისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 19:00 | 324 | პორტუგალია-ბრაზილია | 3.6 | 1.15 |
| 23:00 | 325 | ვენესუელა-იაპონია | 1.35 | 2.8 |

**კრივი**
**3 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 704 | ს. ხარისონი-მ. ბროდი | 1.4 | 22.0 | 2.65 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# თბილისი ევროჩემპიონებს შეეგება

**გუშინ** გამთენიისას თბილისის აეროპორტში 20-წლამდელ „ბორჯღალოსანთა“ აწ უკვე ევროპის ჩემპიონთა ნაკრების თვითმფრინავი დაეშვა. აეროპორტის გამოსასვლელში ქომაგმა მრავლად მოიყარა თავი და ქართული რაგბის მაღალ-ჩინოსნებმაც. იყო დროშების ფრიალი და შამპანურის წვიმაც. შეიძლება ითქვას, რომ თბილისი ევრო-ჩემპიონებს ღირსეულად დაუხვდა.

ისე როგორ იქნებოდა, გამარჯვებულ ბიჭებს არ გავსაუბრებოდით, თუმც სანამ ისინი გამოჩნდებოდნენ, ვეტერან მორაგბე ირაკლი კიზირიას გამოველაპარაკეთ, რომელიც ამავე დროს საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირის პრეზიდენტიცაა.

— ის, რაც ევროპის ჩემპიონატზე მოხდა, ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ქართული რაგბისთვის. ჩვენმა ახალგაზრდებმა კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ქართული სპორტის ისტორიაში. ასეთი გამარჯვებები შემთხვევით არ მოდის. რუსეთთან წარმატებები დაგვებედა, მაგრამ რუმინეთის ძლევა მართლაც მრავლისმეტყველი ფაქტია. ეს იმას ნიშნავს, რომ „ბორჯღალოსანთა“ დონემ საკმაოდ აიწია. ამათზე უმცროსი თაობის ნაკრებებსაც რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ნელ-ნელა ევროპული რაგბის ელიტაში ვიმკვიდრებთ ადგილს.

***

**მალე** აეროპორტის გამოსასვლელში ჩვენი ნაკრებიც გამოჩნდა და ატყდა ერთი ამბავი. ზოგი ავტოგრაფებს არიგებდა, ზოგიც ქომაგთა მკლავებიდან თავის დაღწევას ცდილობდა. პირველი, ვინც მოვიხელთეთ, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ირაკლი ყიასაშვილი გახლდათ, შემდეგ კი სხვებსაც გავესაუბრეთ.



ევროპის ჩემპიონებს კაპიტანი დავით კაჭარავა მოუძღვის



ტურნირის ბომბარდირი ირაკლი ყიასაშვილი

*ირაკლი ყიასაშვილი:*

— მთელ გუნდს დიდი მადლობა თავდადებული თამაშისთვის. ყველამ თავიდან ბოლომდე ვიბრძოლეთ და ისე ვითამაშეთ, როგორც საჭირო იყო. მგონი, უკეთესად ვერც კი ვითამაშებდით. მჯერა, რომ მომავალი წინ გვაქვს. ფინალი რთული იყო, თუმცა არც რუსეთთან ჩატარებული ნახევარფინალი გამოდგა იოლი. რუსეთს შეიძლება ჩვენზე ძლიერი ნაკრებიც ჰყავს, მაგრამ ქართულმა სულმა გაგვამარჯვებინა.

*დავით კაჭარავა* (კაპიტანი):

— ფსიქოლოგიურად ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ საბოლოოდ დასახულ მიზანს მივაღწიეთ. მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოდით და მიუხედავად მეტოქეთა სიძლიერისა, ვიმარჯვეთ კიდეც. ისიც მინდა ავღნიშნო, რომ შარშანდელთან შედარებით მსაჯობა ობიექტური იყო და ამანაც კარგად იმოქმედა ჩვენზე.

*ბესო გოცაძე* (ნაკრების მენეჯერი):

— ეიფორიაში ვარ და ძალიან მიჭირს ლაპარაკი. ერთს აღვნიშნავდი, ვერასოდეს გაიმარჯვებ, თუ ამის არ გწამს. ჩვენ ბოლომდე გვჯეროდა, რომ მიზანს მივაღწევდით. ამ ბიჭების ანთებულ თვალებს ხომ ხედავთ, აი, ამან გაგვამარჯვებინა. ნახევარფინალში და ფინალში პრინციპული და ძალიან უხეშული მეტოქეები შეგვხვდა. რუსებთან შეხვედრა რომ მხოლოდ სპორტულ დატვირთვას არ ატარებს, ეს ფაქტია და ამას ვერხად გავაქცევით. რუმინეთი კი FIRA-ს ელიტის სავენებელ ნაკრებად... ...ჩვენ ... ნაბიჯზე გვიკიდებდნენ, რუმინეთის გზას უნდა დავადგეთ, რუმინელებივით უნდა იბურთაოთ, რუმინელებივით ვიყვარდეთ რაგბი...

...ნი ცტალინად გაგვიხადეს და ...ით წარმატებაში ეჭვი არ ეპარე... ...ბიდათ. შეიძლება ითქვას, რომ ...ნმა გამარჯვებამ მთელი ... ევროპა გააჩინა.

*დავით კაჭარავა* (ნაკრების მთავარი მწვრთნელი):

— ტურნირი ნორმალურად ... ხლდათ ორგანიზებული. ... ყველა ფავორიტს სუსტი მეტოქე შეხვდა, თუმც შემდეგ ძალიან რთული მატჩები გადავიტანეთ. ნახევარფინალში ფავორიტად რუსებს თვლიდნენ, თუმცა გავიმარჯვეთ, რუმინეთის ნაკრებზე ხომ ... რაკიც ზედმეტია. ისინი ამ ტურნირისთვის განსაკუთრებულად ემზადებოდნენ, რუმინეთში რაგბის აკადემიაც კი ჩამოყალიბდა.

თამაში თავიდანვე უხეშად დავიწყეს და სწორედ ამაში შეცდნენ, როგორც ჩანს, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად უნდოდათ ჩვენი გატეხვა. იმდენად უხეშად თამაშობდნენ, რომ, მსაჯებმაც და ტურნირის ორგანიზატორებმაც კი აღნიშნეს მატჩის დასრულების შემდეგ, ... ტაქტიკამ არ გაუმართლათ, ... გვტეხეს და მხოლოდ იმას ... რჩნენ, რომ თამაშის ბოლომდე ჩვენს გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, მერე კი იკადრეს და ... მაშინ, თუმც ორმა გატანილმა ... ლომაც ველარ უშველათ.

**ლადო ფულუკიძე**





# შვიდკაცა ლონდონს გაფრინდა

**IRB-ს** შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერია 11 ეტაპად ტარდება, „ბორჯღალოსნები“ კი 2 ეტაპში მონაწილეობენ. პირველი 4-5 ივნისს ლონდონში გაიმართება, შემდეგი 10-11 ივნისს პარიზში. ჩვენებურები გუშინ გაფრინდნენ ლონდონს, სადაც ზაზა ლეჟავას მიერ შერჩეულ ბიჭებს სერიოზული გამოცდა ელით. ჯგუფში ტურნირის მასპინძელი ინგლისის გარდა სამოა და საფრანგეთია.

ინგლისი მასპინძელიც რომ არ იყოს, რაღონის გუნდიც ეყოლება, რთული წარმოსადგენი არ არის და არც სამოა და საფრანგეთი არიან ჯაბანნი. ამიტომაც რომ ვიძახოთ ამ ჯგუფიდან გასვლა ძალგვიძს და მაღალი ადგილებისთვის უნდა ვიბრძოლოთ, უფრო „ურა-პატრიოტიზმი“ იქნება, ვიდრე საკუთარი ძალების სწორად შეფასება.

ლონდონში მთავარი ის იქნება, ლაღი ბურთაობა ვაჩვენოთ და მეტოქეთა სიძლიერეს არ შევუშინდეთ. რაგბიში ხომ უშიშარი სულია მთავარი და მეტოქემ შენში ეს თუ დაინახა, რომც მოგიგოს, პატივისცემით შემოგხედავს.

პარიზში ფიჯი, სამხრეთ აფრიკა და ტუნისი გველოდება. ამ უკანასკნელს ჩვენთვის კარგად ნაცნობი კლოდ სორელი წვრთნის და ხელთ ის კოზირიც უჭირავს, რომ ის უფრო იცნობს ქართულ რაგბის, ვიდრე ჩვენ ტუნისურს. ამას გარდა, პარიზული პუბლიკაც ტუნისის ქომაგებს მწვრთნელის თანამემამულეობის გამო. ამის მიუხედავად, ალბათ „ბორჯღალოსნებს“ მაინც შესწევთ ძალა აფრიკელებს ღირსეულად ეთამაშონ და დაამარცხონ კიდეც.

გუნდის თავკაცი ზაზა ლეჟავა ერთადერთი ქართველი მწვრთნელია, რომელიც საზღვარგარეთ მუშაობს. საფრანგეთში, ორლეანის ახალგაზრდული გუნდის დამრიგებელი გახლავთ. საქართველოში დიდი რაგბიც უთამაშია და შვიდკაცას ერთ-ერთი პიონერიც გახლავთ.

მენეჯერის, ვასილ აბაშიძისა და ფრანგი ექიმის, რაფაელ დელუშის გარდა, რომელიც ორლეანიდან ზაზა ლეჟავას ჩამოჰყვა, ნაკრებში 12 მობურთალია გამოძახებული. ესენი არიან:

ირაკლი გუნდიშვილი, ალექსანდრე ჩხეიძე, თეიმურაზ ქობელაშვილი, გიორგი კაჭარავა, გიორგი შკინინი, ზვიად კობერიძე, მეფე სარდანაშვილი, გიორგი კობერიძე, ბადრი ხეხელაშვილი, ვახტანგ აბულედიანი, ლევანი გუგავა და დავით ჟამუტაშვილი.

ბევრი მორაგბე, რომელიც ჩვენს შვიდკაცას საკმაოდ დაეხმარებოდა, გუნდს ევროპაში ვერ გაჰყვა, რადგანაც 12 ივნისს ქუთაისში ერთა თასის მორიგ მატჩში ჩეხეთის ნაკრები უნდა დავამარცხოთ, თანაც რაც შეიძლება დიდი სხვაობით და რა თქმა უნდა ამ ეტაპზე ქართულ-ჩეხური ჯახი რომ უფრო პრიორიტეტულია რომაა, ლაპარაკიც არ უნდა.

**ლადო ფულუკიძე**

# ექსკაპიტანს ახალი მწვრთნელის სჯერა

## ჰერბერტი საქართველოს ევროპაში სახელს მოუხვეჭს...

**ამ დღეებში საქართველოს ნაკრების თავკაცად დანიშნულ გორდონ ჰერბერტს ჩვენში მაქებარი არ აკლია. ფრანგული „რასინგის“ სპეციალისტი საკმაოდ დიდი რეპუტაციით სარგებლობს ევროპაში და, ცხადია, საქართველოში ყველა კმაყოფილია მისი ეროვნულ გუნდში მოსვლით. მათ შორისაა ნაკრების ოდინდელი კაპიტანი, ამჟამად კი იძულებით შვებულებაში მყოფი ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომელიც ქართველი კალათბურთელებიდან ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ყველაზე უკეთ უწყის ჰერბერტის ავანჩავანი. ნაცვლიშვილს ნაოპერაციევი ფილტვის გამო გასული სეზონი გაუცდა, თუმც ის არაერთხელ ჩავიდა საფრანგეთში, თავის გუნდ „დიჟონს“ ჩააკითხა და ისე დაემთხვა, რომ პარიზული „რასინგის“ თამაშის ყურებამაც მოუწია. ნაცვლიშვილს რომ შევეხმიანეთ, თავდაპირველად ჯანმრთელობის ამბები გამოვკითხეთ**



ვახტანგ ნაცვლიშვილი

— თითქმის ბოლომდე გამოვჯანმრთელდი გარეგნულად ყველაფერი შესანიშნავადაა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვარ ისე მზად, რომ სრულფასოვან ვარჯიშს შევუდგე. ახლა ნამდვილად არ ვიცი, რას გავაკეთებ. ვფიქრობ, ზაფხულში დავიწყებ ვარჯიშს. მე ძალიან მინდა, კალათბურთს დავუბრუნდე, თუმც ეს პირველ რიგში ექიმების გადასაწყვეტია.

— თუ ზაფხულში ვარჯიშს შეუდგები, სექტემბერში ნაკრებში სათამაშოდ მზად იქნები?

— არ ვიცი, ნაკრებში თამაში კი ძალიან მინდა.

— გორდონ ჰერბერტზე რას იტყვი, შენ ის საფრანგეთის ჩემპიონატიდან გეცნობება...

— ჰერბერტს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მისი გუნდის თამაში მინახავს და ვიცი, რომ უმაღლესი დონის სპეციალისტია. მე მას რეკომენდაცია გავუწიე, როცა საქართველოს კალათბურთის ფედერაციიდან შემეხმიანნენ და აზრი მკითხეს. ვფიქრობ, რომ საუკეთესო ვარიანტი შეირჩა, ჰერბერტზე უკეთესს ვერავის დავნიშნავდით. ახლა თუ ვარსკვლავი და მყვირალა სახელის მქონე სპეციალისტი გვინდოდა, ეს სხვა ამბავია. ჰერბერტს ტიტულებიც საკმარისად აქვს და რეპუტაციაც არ დაეწუნება, რასაც ვერ ვიტყვით მის წინამორბედზე. დრაჟენ ბრაიკოვიჩისგან განსხვავებით, ჰერბერტი 12 კაცის მწვრთნელი მაინცაა, ქალების კალათბურთში არ უსწავლია მწვრთნელობა.

**— როგორ ფიქრობ, დაგვიანებული ხომ არაა ჰერბერტის დანიშვნა. სულ რაღაც 3 თვეში ოფიციალური მატჩები გველის...**

— დაგვიანებული იმიტომაა, რომ ბრაიკოვიჩი წელიწადნახევარი ედგა სათავეში ნაკრებს და ვერაფერი გააკეთა. ყველაფერი წყალში გადაყრილი გამოდგა და ახლა ჰერბერტს უწევს გაფუჭებული საქმის გამოსწორება. ვფიქრობ, ის წარმატებით გაართმევს თავს ყველაფერს და საქართველოს ნაკრებს ევროპაში ძლიერი გუნდის იმიჯს მოუტანს.

**ირაკლი პერტაია**

NBA PLAY OFF 2005 კონფერენციის ფინალი

# დეტროიტი განცდებში

## არეული ფიქრები და დალაგებული თამაში



ლარი ბრაუნი



დეტროიტელმა რიჩარდ ჰამილტონმა თავის გუნდს სიცოცხლე დაუბრუნა

31 მაისი

**აღმოსავლეთი**

მაიამი 2:2 დეტროიტი

**დეტროიტი 106:96 მაიამი**

**დეტროიტი:** ბილაფსი (17), ჰამილტონი (28), პრინსი (15), რ. ვოლესი (20), ბ. ვოლესი (4 ქულა, 15 მოხსნა); მაკდაისი (6), ჰანტერი (6), კემპბელი (5), აროიო (5), ჰემი, დიუპრე, მილიჩიჩი

**მაიამი:** ვეიდი (28), დ. ჯონსი (6), ე. ჯონსი (11 ქულა, 10 მოხსნა), ჰეისლიპი (14), ონილი (12); დულინგი (11), მურნინგი (4), დოლიკი (4), ლაუტნერი (4), ბატლერი (2)

**ნბა-ს** პლეი ოფში ამ დონის და რაუნდის შეხვედრა არ შეიძლება უხარისხო იყოს და არც „დეტროიტ“—„მაიამის“ მეოთხე ჯახს დაეწუნებოდა რამე, მაგრამ მასპინძელი „პისტონზის“ გამარჯვების მიუხედავად დეტროიტელებმა — მოთამაშეებმაც და მათ საცქერად ფულის არდამნანებელმა ხალხმაც — ცოტა არეული ფიქრებით დატოვეს „ობურნ ჰილზ პალასი“, ნბა-ს სამგზის ჩემპიონთა შინაური შეხვედრების ალაგი. „პისტონზს“ ურიგოდ ნაღდად არ უბურთავია, პირიქით, მასპინძლები მთელი 48 წუთის განმავლობაში უნერგავდნენ ქომაგებს მოგების რწმენას და სერიაში ანგარიშიც 2:2 გაათანაბრეს. მიქმედ და ვინ იცის, იქნებ მომავალ ჩემპიონთა ბანაკში სხვა რამის გამო სტკივათ თავი.

მთელ ამ შეხვედრას ფონად გასდევდა ამ ბოლო ხანებში მწვავედ წამოჭრილი საკითხი, რომელიც „პისტონზის“ ღვაწლმოსილ მთავარ მწვრთნელ ლარი ბრაუნს ეხება. საქმე ის გახლავთ, რომ ბრაუნს დეტროიტის მეზობელ ქალაქ კლივლენდში ეპატიჟებიან იქაური „კავალიერზის“ შეფები, ოღონდ არა როგორც მწვრთნელად, არამედ კლუბის საკალათბურთო საქმეთა პრეზიდენტად — ასეთი თანამდებობაც არსებობს ნბა-ში — და დიდი შანსია, ბრაუნმა ეს გამოწვევა მიიღოს, ისევე, როგორც ადრე იღებდა სხვა კლუბებიდან — ის ხომ ძალიან დიდხანს არც ერთ გუნდში არ ჩერდება და მრავალწლიან სამწვრთნელო კარიერაში ბლომადაც გამოუცვლია ნავსაყუდელები.

„კლივლენდს“ აქვს პერსპექტივა დიდ გუნდად იქცეს, იქ ხომ თავად ლებრონ ჯეიმსი თამაშობს, მაგრამ არასწორი საკადრო პოლიტიკის გამო „კავალერიას“ საშუალოებში დამკვიდრებაც პრობლემად ქცევია და „კლივლენდის“ შეფები ხსნას 64 სპეციალისტში ხედავენ, მიუხედავად იმისა, რომ ბრაუნს ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არასდროს უმუშავია, მისი ადგილი ყოველთვის დაქანცულ მოთამაშეთა შუაგულში და სათადარიგოთა სკამის განაპირას ან მის სიახლოვეს იყო.

„ჩემი მოთამაშეები მეკითხებიან, რას გრძნობო. იციან, რომ ჩემი მოწოდება მწვრთნელობაა. ან თქვენ თუ წარმოგიდგენიათ სხვა საქმეში? მე მათ ვპასუხობ, რომ არ ვიცი, რას ვგრძნობ“ — ერთი სიტყვით, ბრაუნი დიდ განსჯებშია და გზაჯვარედინზე მისულმა არ იცის, რა გზას დაადგეს.

თუმც ეს სამერმისო ამბავია და თამაშს მოვუბრუნდეთ, მით უფრო, რომ ეს დიდებული სპეციალისტი კვლავაც „დეტროიტ პისტონზს“ მიუძღვის და ფიქრ-განსჯათა მოძალების მიუხედავად, მოახერხა თავისი გუნდის საჩემპიონო გზაზე დატოვება.

„დეტროიტს“ „მაიამისთან“ ზედიზედ მესამე თამაშიც რომ წაეგო, სასურველზე ადრე დაასრულებდა საჩემპიონო მარათონს, თუმც ერთხელაც მოგახსენებთ, ჩემპიონებს ამაზე ფიქრის საბაბი არავისთვის მიუციათ და დამაჯერებლად ჩაატარეს მთელი შეხვედრა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე „პისტონზის“ ნიღბიანი მტყორცნელი რიპ ჰამილტონი გახლავთ, რომელმაც შეტევაშიც იხვეჭა ქულები და საკუთარ ნახევარზეც დიდი სამუშაო გასწია — თავიდან ბოლომდე საიმედოდ სდია „მაიამის“ ჯეელ სუპერვარსკვლავ დუეინ ვეიდს და 30-ქულიან თამასაზე ზედიზედ მესამედ გადახტომის უფლება არ მისცა. გავიხსენოთ: ვეიდმა სერიის მეორე და მესამე შეხვედრებში შესაბამისად 40 და 36 ქულა მოიხვეჭა და „მაიამის“ ამ ორჯერვე წააქცევინა „დეტროიტი“.

ვეიდზე უარეს დღეში იყო „ჰითის“ მეორე დიდკაცი შაკილ ონილი. დევშაკმა უკვე პირველ მეოთხედში მიიღო სამი პერსონალური და მართალია, დარჩენილ დროში მხოლოდ ერთხელ დაჯარიმდა, მაინც შეუმჩნეველი იყო — 12 ქულით და 5 მოხსნით შემოიფარგლა.

დეტროიტელებმა კი თავიდანვე აიწყვეს ცხოვრება, პირველი ტაიმის შემდეგ დიდ შესვენებაზე 14-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ და არცთუ ძნელი გამარჯვების შემდეგ იმედიანად ჩავლენ მაიამიში, სადაც სერიის მეხუთე მატჩი გაიმართება.

**კოტე ყორშია**



# პრეზიდენტი პრეზიდენტის გუნდიდან

## მოჭიდავეებმა პირველი კაცი აირჩიეს

**11 თებერვლიდან მოყოლებული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი თემურ ყაზარაშვილი ასრულებდა. ყოფილ პირველკაც ბაკურ გოგიტიძეს კი უფლებამოსილება პრეზიდიუმის მიერ ასევე დროებით ჰქონდა შეჩერებული. გუშინდელ ყრილობაზე დღის წესრიგის პირველი საკითხი გოგიტიძის გათავისუფლების თაობაზე კენჭისყრა იყო, თუმც მანდატების აფრიალებამდე საქმე აღარ მისულა. უფლებამოსილებაშეჩერებულმა პრეზიდენტმა წასვლის შესახებ ტრიბუნიდან განაცხადა, მაგრამ იქვე დასძინა, პრეზიდიუმის მიერ წაყენებული ბრალდებების 90 პროცენტი სიცრუეაო.**



კახა გეწაძე

**ყრილობას** ყაზარაშვილი უძღვებოდა. წინასწარი ინფორმაციით ისიც პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ორი დღით ადრე თქვა უარი, გუშინ კი გადაწყვეტილება ასე ახსნა: „კანდიდატურა არც ერთი კონკურენტის სასარგებლოდ არ მომიხსნია. ასე ჭიდაობის სიყვარულის გამო მოვიქეცი. რაც უფრო ძლიერი თაგკაცი მოვა სათავეში, მით უკეთესი ჩემთვისაც და მთლიანად ქართული სპორტისთვისაც“.

კანდიდატების გამოსვლებამდე დამსწრეთ რეგისტრაციის შედეგები გააცნეს. 207 დელეგატიდან ხმის მისაცემად 193 გამოცხადდა. ასეთი ხალხმრავლობა ბოლოხანს ჩატარებულ არც ერთი ფედერაციის არჩევნებზე არ ყოფილა, თუმც მიუხედავად ამისა, გუშინდელი ყრილობა გამორჩეულად მშვიდი და ნაკლებკონფლიქტური გამოვიდა. იქვე ერთი საინტერესო რეკორდიც დამყარდა. ყაზარაშვილის განცხადებით, ხელისუფლების მხრიდან ჭიდაობაში მიმდინარე მოვლენებისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, ყრილობისთვის თორმეტ დეპუტატს მოუცლია.

დაძაბულობა მხოლოდ საპრეზიდენტო კენჭისყრის დაწყებისას ვიგრძენით. კამათი კენჭისყრის ჩატარების ფორმატს მოჰყვა. ბოლოს „ფარულის“ მომხრეებმა იმარჯვეს, თუმც არჩევნების დაწყებამდე ტრიბუნა კანდიდატებსა და მათ მომხრეებს დაეთმოთ. ვალერი გელაშვილმა და ლევან თედიაშვილმა შედარებით მოკლე ლრო დახარჯეს. პირველმა სამუშაო პროგრამაზე შეგნებულად აღარ გაამახვილა ყურადღება, რადგან დელეგატებისთვის ისედაც ცნობილი იყო, ყრილობის დაწყებამდე დაურიგდათ, ხოლო მეორემ აღიარა, პროგრამა საერთოდ არ დამიწერია, თუ გსურთ ზეპირად გეტყვითო. გელაშვილმაც და თედიაშვილმაც აღნიშნეს, რომ მთავარი ჭიდაობის წინსვლაა და მის სამსახურში წაგების შემთხვევაშიც სიამოვნებით დარჩებოდნენ.

კახა გეწაძემ ავტობიოგრაფიით დაიწყო და პროგრამაზეც ისაუბრა:

— დავიბადე თბილისში, 1972 წელს. პროფესიით ექიმი ვარ, მაგრამ ჭიდაობის სიყვარული ბავშვობიდან მომდევს. ერთხანს თავისუფალ ჭიდაობაშიც ვვარჯიშობდი თამაზ გოგოლაძესთან. პრეზიდენტობა იმიტომ გადავწყვიტე, რომ დარწმუნებული ვარ, საქმის წარმატებით გაძღოლა შემიძლია. მოგეხსენებათ, საქართველოს პრეზიდენტის გუნდში ვარ და რომ ვამბობ, ბიუჯეტს გავორმაგებ და გავასამმაგებ მეთქი, ამ სიტყვებს ჰაერზე არ ვისვრი. ჭიდაობის ფედერაცია იმ ფერხულში უნდა ჩაებას, რაც საქართველოში ხდება, თანხა კი იმდენი „გამოვძებნოთ“, რამდენიც წინსვლისთვის იქნება საჭირო. გარანტად ხელისუფლების მხარდაჭერის გარდა ბიზნესმენთა დიდი წრის გვერდში დგომაც გამოგვადგება.

გეწაძის კანდიდატურას მხარი დარბაზში მყოფმა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა და მერიის სპორტის სამსახურის შეფმა გიორგი ულესიანმაც ლიად დაუჭირეს. გელაშვილის მხარდამჭერებს კი დელეგატებს ბიზნესმენმა გოგი თოფაძემ მოუწოდა.

ფარული კენჭისყრა ორ საათზე მეტხანს გაიწელა. გეწაძემ 138 ხმა ერგო, გელაშვილს 43, ხოლო თედიაშვილს 12. დამარცხებულებმა გამარჯვებულს გულწრფელად მოულოცეს და ყოველმხრივ დახმარება აღუთქვეს, თანამდებობას მნიშვნელოვანი ნებისმიერ ქართული ჭიდაობის გვერდით დგომაა. პრეზიდენტმა საპატიო ადგილი დაიკავა და პირველი საპრეზიდენტო სიტყვაც მოვისმინეთ.

*კახა გეწაძე:* პირველ რიგში, მადლობას მოგახსენებთ ამ ნდობისთვის. მადლობა ყველას, ვინც ჭიდაობა დღემდე მოიტანა. ჩემი უმთავრესი საფიქრალი კი საქმის წარმატებულად გაძღოლა და უკეთესი მომავლისთვის ყველა წინაპირობის შექმნაა. გვერდით იმ ხალხს ვიყენებ, ვინც ჭიდაობას წინ წაიყვანს. დიდი საკადრო ცვლილებების განხორციელებას არ ვაპირებ. ვიცე-პრეზიდენტებად ვეტერან მოჭიდავე გურამ საღარაძეს და კომპანია „ჯიპსელის“ პრეზიდენტ ზურაბ ბუბუტეიშვილს ვასახელებ, სულ კი ოთხი ვიცე-პრეზიდენტი მეყოლება. თემურ ყაზარაშვილი და თამაზ გოგოლაძე თავიანთ თანამდებობებზე რჩებიან.

დღის წესრიგის ბოლო საკითხი წესდებაში ცვლილებების შეტანა და ახალი პრეზიდიუმის შექმნა იყო. გეწაძემ 25-კაციანი პრეზიდიუმი ისურვა. 17 იქვე დაასახელა, 8-ს კი უახლოეს მომავალში დავამატებო, დასძინა. აქვე ერთი სიახლეც. პრეზიდიუმის გარდა ყალიბდება 50-კაციანი სათათბირო, რომელსაც ვიცე-პრეზიდენტი გურამ საღარაძე უთავკაცებს. რაც შეეხება წესდებას, მასში ცვლილებები დაახლოებით ორ კვირაში განხორციელდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**გურამ დოლენჯაშვილის**
*ფოტოები*



ჭიდაობის ვეტერანი ვარსკვლავები: დავით გობეჯიშვილი, დავით ციმაკურიძე და გურამ საღარაძე კენჭისყრისას



ვალერი გელაშვილი



ლევან თედიაშვილი და თემურ ყაზარაშვილი

## საქართველოს თასი

ვაჟები. 30 მაისი - 1 ივნისი

**მეოთხედფინალი**

სტუ-შევარდენი 42:26 საუ-მამული
თელავი 31:27 ხ/კ თბილისი
ჭაბუკები 38:20 სამტრედია

**ნახევარფინალი**

სტუ-შევარდენი 43:20 თელავი
ჭაბუკები 23:17 ძარიშხალა

**ფინალი**

სტუ-შევარდენი 39:20 ჭაბუკები

სტუ-შევარდენი: ანდრიაძე, სამყურაშვილი, კობახიძე (გაიტანა 13 გოლი), ნადირაძე (7), ქობელაშვილი (6), ტალახაძე (6), ნიკოლაიშვილი (4), ამირან ყიფიანი (3), ომარ ყიფიანი

ჭაბუკები: კუპატაძე, პაპავა, გიორგი ტორონჯაძე, გიორგი ჩიქოვანი (4), მსხვილიძე (4), ზაალიშვილი (4), მელქოშვილი (3), ჯოხარიძე (2), წულაძე (2), ჯორბენაძე (1), კაიშაური, ფერაძე, ირაკლი ჩიქოვანი, ირაკლი ტორონჯაძე

მსაჯები: ელენე არაბული და თამარ არჩაია

# სეზონი თასით დაიხურა

**გუშინ** საქართველოს თასის ფინალური მატჩით დასრულდა რვათვიანი სახელბურთო სეზონი. სამდღიან ტურნირში შვიდი გუნდი მონაწილეობდა.

გათამაშება ორი მოულოდნელი შედეგით აღინიშნა. ჯერ იყო და პირველ დღეს „თელავმა" ქვეყნის ვიცე-ჩემპიონ "თბილისს" სძლია, ხოლო ნახევარფინალში ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ოლიმპიური ცენტრის გუნდების — „ჭაბუკების" და „ქარიშხალას" მატჩი პატარებმა, რომლებიც ფაქტობრივადც 18-წლამდელთა ეროვნულ ნაკრებს წარმოადგენენ, ორი-სამი წლით უფროს თანაცენტრელებს მოუგეს.

ფავორიტად, ცხადია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენი" ითვლებოდა და არც გასჭირვებია პრიზ-მედლების მოპოვება. ტექნიკოსებმა თამაშები 16, 19 და 23-ბურთიანი სხვაობით მოიგეს. არადა, ჩემპიონებს მიზეზთა გამო ოთხი წამყვანი მოთამაშე აკლდათ, მათ შორის კაპიტანი და მთავარმეგოლე ვლადიმერ რუსია, რომელსაც ბაბუა გარდაეცვალა.

გადამწყვეტ შეხვედრაში ქვეყნის უცვლელ ჩემპიონებს მხოლოდ ხუთიოდე წუთს ეთამაშნენ თანაბრად „ჭაბუკები".

ამრიგად, სტუ-შევარდენმა, რომლის მთავარი მწვრთნელია ირაკლი კეკელიძე, ათი დღის წინ მეთხუთმეტედ მოპოვებულ საჩემპიონო ტიტულს თასიც მიამატა და მარათონული სეზონი აბსოლუტური გამარჯვებით ჩაამთავრა.

გუნდის წევრები ლამაზი თასით და მედლებით დააჯილდოვეს საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა თამაზ თევზაძემ და გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ.

**გია ახალაძე**



დავით ნადირაძემ ჭაბუკებს შვიდჯერ გაუტანა



## როლან გაროსი 2005



მარიანო პუერტა



ნიკოლაი დავიდენკო

# ტკბილად მოსაგონარი შავი დროება

1 ივნისი

**მეოთხედფინალი**

**კაცები**

მარიანო პუერტა (არგენტინა) — გილერმო კანიასი (9, არგენტინა) 6:2, 3:6, 1:6, 6:3, 6:4; ნიკოლაი დავიდენკო (12, რუსეთი) — ტომი რობრედო (15, ესპანეთი) 3:6, 6:1, 6:2, 4:6, 6:4.

**თუ** გსმენიათ მარიანო პუერტას შესახებ? ალბათ არ გსმენიათ, და თუ გსმენიათ კიდეც, მის ხმაურიან წარმატებებზე ვერასდროს ვერაფერს მოისმენდით, არ ჰქონია და ამიტომ. არც მანამდე ბრწყინავდა ეს ჯეელი და 2003 წლის ოქტომბერს დოპინგკონტროლზე რომ ჩავარდა, საერთოდ გაქრა საჩოგნეთის ჰორიზონტიდან — შვიდი თვე დისკვალიფიკაციას იხდიდა, მერე კი დაკარგულ იღბალს წვრილმან კორტებზე ეძებდა...

ერთი სიტყვით, ვინ იყო, აქ როგორ მოხვდაო, ამაზეა ნათქვამი. ახლა ეს არგენტინელი „როლან გაროსის" ნახევარფინალშია და იქ რუს ნიკოლაი დავიდენკოს გადაუჭდობს ჩოგანს ფინალის საგზურისთვის. აქამდე მოსულა და ფინალშიც რომ გავიდეს, ვინმეს გაუკვირდება?

ნახევარფინალში კი მარიანო პუერტამ მეცხრე ნომრად განთესილი და ბევრად სახელგავარდნილი გილერმო კანიასი იმსხვერპლა სამსაათნახევრიან და ხუთსეტიან განდაგანაში და ძლეულიც არ უკარგავს დამსახურებას მძლეველს.

„ამ მატჩის თავიდან გამართვა და რაიმეს შეცვლა შესაძლებელი რომ იყოს, მე პუერტას შევცვლიდი და არა ჩემს თამაშს — ამბობს კანიასი — მან მშვენივრად ითამაშა, განსაკუთრებით საჭირო მომენტებში მაჯობა და ამის გამოა ის ნახევარფინალში."

თავად პუერტა ამხელა ნახტომს და მეტამორფოზას ისევ საკუთარი კარიერის შავ პერიოდს უმადლის:

„ძალიან მძიმე პერიოდი მქონდა და ამ სიძნელეებმა გამომაწრთო. ახლა თავს ისე ყოჩაღად ვგრძნობ, როგორც არასდროს."

იმის თქმაც არაა საჭირო, რომ პუერტამ ცხოვრებაში პირველად გააღწია სლემტურნირის ნახევარიფნალში და, სხვათა შორის, იქ ასევე პირველად მოხვდა მისი მომდევნო მეტოქე ნიკოლაი დავიდენკოც, ვინაც გამოცდილი ესპანელი მეთიხნარის ძლევას დღეს, თავის 24-ე დაბადების დღეზე აღნიშნავს.

მეორე ნახევარფინალური წყვილი კი ერთი დღით ადრე, სამშაბათს შეადგინეს როჯერ ფედერერმა და რაფაელ ნადალმა. პარიზის მომავალი დამპყრობიც უფრო ამათ შორის უნდა ვეძებოთ, ვიდრე პუერტა — დავიდენკოს შორისთ.

ზოგადად, მთავარი ფავორიტი, რაღა თქმა უნდა, მისი უჩოგნესობა ფედერერი გახლავთ, თუმც ვინაიდან მას თიხნარზე თამაში არც ისე მარჯვედ ხელეწიფება, როგორც სხვა ნებისმიერ საფარზე, გასულ პარასკევს 19 წლისა შესრულებული ნადალიც საკმაო ოპტიმიზმით ელის მასთან ბრძოლას.

„თიხნარი ჩემი საფარია და ყველანაირად ვეცდები საუკეთესოდ ვითამაშო — ამბობს ესპანელი მუჩაჩო — თუ ეს შევძელი და როჯერს ხელი შევუშალე მთელი თავისი არსენალის გამოლაგებაში, ვფიქრობ წარმატების არცთუ ურიგო შანსი მექნება. როჯერი მაინც ფავორიტია, მე კი ჩემი პირველი სლემფინალისთვის ვიბრძვი, მაგრამ დამიჯერეთ, კორტზე ნამდვილად არ ვაპირებ იმ ფიქრებით გასვლას, რომ ეს მატჩი უმნიშვნელოვანესია ჩემს კარიერაში. არა, ამით თავს ნამდვილად არ დავიმძიმებ."

ვნახოთ, სხვა სამი ჯიშის სლემტურნირის მომგებ როჯერს „როლან გაროსზე" გამარჯვება აკლია დიდი სლემის დასამრგვალებლად. მას ხომ ამ დღეებში პარიზის წითელ კორტებზე ჯერ არ შეხვედრია ღირსეული მოწინააღმდეგე.

**კოტე ყორშია**



# ჰოკეის ვარსკვლავის მოკრივე და

**სახელგანთქმული** კანადელი ჰოკეისტის პოლ კარიას უმცროსმა დამ წარმატებით ჩაბარა სადებიუტო გამოცდა პროფესიულ კრივში. 21 წლის ნორიკო კარიამ კვებეკის ქალაქ გატინოს რინგზე თავისი პირველი პროფესიული ბრძოლა გამართა. მინიატურული ნორიკოს (სიმაღლე 155 სმ, წონა 52 კგ) მეტოქე იყო ამერიკელი სინდი კრისტიანი. მსაჯთა გადაწყვეტილებით გამარჯვება კანადელს მიაკუთვნეს.

„ბედნიერი ვარ, რომ ნორიკომ გაიმარჯვა, მაგრამ ამ წარმატებით კმაყოფილებას სულაც არ ვგრძნობ, რამდენადაც ვიცი, რომ მას უკეთაც შეუძლია კრივი" — თქვა კარიას მწვრთნელმა გრეგ არლონმა.

თავად გამარჯვებულმა, რომელმაც სამოყვარულო კრივში 10 ბრძოლა ჩაატარა და მხოლოდ ერთში დამარცხდა, განაცხადა, რომ უკვე მოასწრო პროფესიული კრივის შეყვარება.

„აქ სისწრაფე უფრო მეტია, დარტყმები კი გაცილებით მგრძნობიარე. მომწონს, რომ მებრძოლები ჩაფხუტებს არ იხურავენ და თავი დაუცველ მიზანს წარმოადგენს" — თქვა ნორიკო კარიამ.

ნორიკო სპორტული წარმატებების მხრივ თავის უფროს ძმას ჯერჯერობით ძალიან ჩამორჩება, რომელიც ჰოკეის ეროვნული ლიგაში ყველაზე სახიფათო თავდამსხმელად ითვლება. მან ბოლო 10 წლის განმავლობაში „ანაჰაიმ მაიტი დაკსის" და „კოლორადო ეველანშის" შემადგენლობაში 657 შეხვედრა ჩაატარა და შედეგიანობის (311+394) მხრივ 705 ბალი დაიმსახურა. მისი მიღწევები არანაკლებ წონადია საერთაშორისო არენაზე. 1994 წელს კარიამ, როდესაც იგი კანადის ნაკრების ვარსკვლავი იყო, ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო 2002 წელს სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე ოქრო დაიმსახურა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფილიპო ინძაგი


მაგდა გომესი


მარიო ჩიპოლინი

# ჩიპოლინის ცხოვრებისეული საფინიშო ბიძგი

**უდიდესმა** იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ, რომელმაც ველომრბოლელთა სხვადასხვა ეტაპზე თავის 17-წლიან კარიერაში 189 გამარჯვება მოიპოვა, გადაწყვიტა გამოთხოვებოდა თავისი ჩვეული ცხოვრების კიდევ ერთ წესს.

„ლომების მეფემ", როგორც მას გულშემატკივრები უწოდებენ, გადაწყვიტა განშორებოდა თავის ამჟამინდელ ცოლს საბრინა ლანდუჩის. ეს ცნობილმა სპორტსმენმა მას შემდეგ განაცხადა, როცა იგი ბრაზილიელი ლამაზმანის მაგდა გომესის გარემოცვაში იხილა.

გომესი, რომელიც ამომავალ ტელევარსკვლავად ითვლება, ცნობილი გახდა მას შემდეგ, როცა მონაწილეობა მიიღო იტალიური ტელევიზიის შოუმენ პიერო კიამბრეტოს პროგრამაში, სადაც მან სტიუარდესას როლი შეასრულა.

მთელ ამ ისტორიაში უმთავრესი ისაა, რომ ბრაზილიელი მოდელი ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ იტალიელი ფეხბურთელის ფილიპო ინძაგის საცოლედ ითვლებოდა. ახლა მაგდა გომესი მარიო ჩიპოლინოს გარემოცვით ტკბება. ბევრი ამ გოგოს სწორედ იმაში ადანაშაულებს, რომ ცნობილი ველომრბოლელი სწორედ ამ მის გამო დაშორდა ცოლს. მარიო ჩიპოლინისა და საბრინა ლანდუჩის ქორწინება 12 წლიწადს გრძელდებოდა. ამის შედეგად ქვეყანას მოევლინა 2 მშვენიერი გოგონა — ლუკრეცია და რეჩელი.

ახლა ჩიპოლინიმ თავისი ცხოვრება შეცვალა ისე, როგორც ჩვეულებრივად იგებდა ეტაპებს: საფინიშო ბიძგით

# რის ღმერთი, რომელი ქალი ან რა დეიდაშვილი

**სპორტის** თითქმის ყველა სახეობაში არის პატარ-პატარა ეშმაკობების შესაძლებლობა, რომლებიც წესით აკრძალულია, მაგრამ ზოგჯერ მამაძაღლებს უმართლებთ, რაკი მსაჯები ყველაფერს თვალყურს ვერ ადევნებენ და რაღაცრაღაცეები მათაც ეპარებათ. მაგალითად, ჰოკეიში, როცა კართან დიდი ჯახია და გოლკიპერს გოლი ემუქრება, იმ ჯაჯგურში მეკარე მხრებით კარს ოდნავ მაღლა წევს და გვერდზე გადაადგილებს ხოლმე, მაგრამ ეს წვრილმანია. არიან ადამიანები, რომლებიც უფრო დიდი მასშტაბის გაიძვერობას მიმართავენ. მაგალითად, 1990 წელს ერთ-ერთი დიდი დოღისას მხედარმა სილვესტერ კარმიშმა სქელი ნისლით ისარგებლა, მაყურებლისა და მსაჯების შეუმჩნევლად დისტანციის ძალზე დიდი ნაწილი „მოიპარა" და ფინიშთან უახლოეს მდევარს ცხენის ოცდაოთხი კორპუსით მიასწრო.


ეს ღმერთის კი არა, მარადონას ხელია


ტონია ჰარდინგი

ხელების (უფრო სწორედ ცალი ხელის) მოქნილობა დაეხმარა დიდ არგენტინელ მარადონას, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების კარში ბურთი რომ გაეტანა (მსაჯის გარდა ეს ყველამ შენიშნა). და მარადონამ, როცა მას პირდაპირ ჰკითხეს, ხელით ითამაშე თუ არაო, უპასუხა: „ნაწილობრივ ეს მარადონას ხელი იყო, ნაწილობრივ ღმერთისა".

ახლა გავიხსენოთ, საბჭოთა არმიის ოფიცერი, ხუთჭიდელი ბორის ონიშენკო, რომელიც 1976 წლის ოლიმპიურ თამაშებზე თავისივე გამოგონილი ხელსაწყოთი ალჭურვილი რაპირით გამოდიოდა. ეს ხელსაწყო ქულის აღებას ისე აფიქსირებდა, რომ მეტოქეს არც კი ეხებოდა. დიდი ბრიტანეთის გუნდის წევრმა ფოქსმა ეს რომ შეამჩნია, მსაჯებს თვალი აუხილა და მათაც აღმოაჩინეს, რომ ონიშენკოს იარაღზე ღილაკი ჰქონდა, რომელზეც დაჭერის შემთხვევაში შეხება ფიქსირდებოდა.

სიდნეის პარაოლიმპიურ თამაშებზე 2000 წელს კალათბურთში ჩემპიონი გახდა ესპანეთის გუნდი, რომლის 12 წევრიდან ათი სრულიად საღ-სალამათი იყო.

სპორტსმენთა მამაძაღლობაში დოპინგის გამოყენების შემთხვევებზე საუბარი არც ღირს, რადგან გამარჯვებისთვის ეს ყველაზე იოლი საშუალებაა. მაგრამ არის კვარცხლბეკისკენ მიმავალი უფრო რთული და საშიში გზებიც. მაგალითად, გავიხსენოთ ამერიკელი ფიგურული სრიალის ოსტატი ტონია ჰარდინგი. იგი მოელაპარაკა თავის ქმარს, ქმარმა კი დაიქირავა კაცი, რომელმაც ცოლის მეტოქე ნენსი კერიგანი დაჭრა. ნენსი გამოჯანმრთელების შემდეგ ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი გახდა, ჰარდინგს კი სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, ხოლო მის ქმარს ორ წელიწადს ციხე „ახეხინეს".

1936 წლის ბერლინის ოლიმპიური თამაშებზე სიმაღლეზე მხტომელთა შორის გამოდიოდა დორა რატჯენი, რომელიც იგივე ჰერმან რატჯენი იყო. ის რომ დორა იგივე ჰერმანი იყო, გაირკვა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის მერე, როცა ჰამბურგის ერთ-ერთ რესტორანში იგი ოფიციანტად მომუშავე იხილეს.

ჰერმანმა აღიარა, რომ ჰიტლერის მთავრობის წარმომადგენლებმა აიძულეს იგი, რომ თავი ქალად გაესაღებინა, რათა სამშობლოსა და ფიურერისთვის დიდება მოეტანა. ამ საქმისგან მაინც არაფერი გამოვიდა — ჰერმანს სამმა ნამდვილმა ქალმა აჯობა.

1996 წელს პრემიერლიგის „საუთჰემპტონის" მწვრთნელმა გრემ სუნესმა გუნდში სახელგანთქმული ჯორჯ ვეას რეკომენდაციით მიიღო მისი ბიძაშვილი თუ დეიდაშვილი ალი დია. ახალწვეული 30 წლისა აღმოჩნდა, მაგრამ სუნესისთვის ვეას რეკომენდაცია იმდენად ავტორიტეტული იყო, რომ ალი დია საქმეში არც გამოსცადა და ერთ-ერთი თამაშისას შეცვლაზე შეიყვანა. 14 წუთის მერე ბიძაშვილი თუ დეიდაშვილი უკან გამოიხმეს, რადგან აშკარად გამოჩნდა, რომ იგი სრულიად პროფანი იყო. მერე ისიც გაირკვა, რომ სუნესისთვის დაურეკავს მის აგენტს, რომელმაც თავი ვეად გაასაღა...

მსგავსი ამბების გახსენება კიდევ მრავლად შეიძლება და ასეთი ისტორიები კვლავაც გრძელდება

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP პარიზიდან

# როლან გაროსიდან



AFP პარიზიდან

ესეც როლან გაროსის დღეები: ორასმა ბურთის მომტანმა ბიჭმა კორტზე გული დახატა, რითაც 2012 წლის ოლიმპიადის პარიზში გამართვას დაუჭირა მხარი. იანიკ ნოა და ჯონ მაკინროი წყვილად ჩაებნენ საღლაბუცო მატჩში. ხოლო ლინდსი დევენპორტის და მარი პირსის მეოთხედფინალზე სტრიკერმა ისკუპა.



AFP პარიზიდან

# როსი-დოქტორი

ასეც მოხდება ხოლმე: მოტოვარსკვლავ-ჩემპიონი ვალენტინო როსი სულაც არა ჰგავს მეცნიერს. ურბინოს უნივერსიტეტის რექტორი ჯოვანი ბატისტა ბოლიოლო კი დოქტორის საპატიო ქუდს ახურავს დიდ სპორტსმენს. დოქტორის სამოსში როსი ცოტა სასაცილოა, მაგრამ პატივი კი დიდია.



AFP ურბინოდან




AFP ლისაბონიდან

# ფიგუ ბოლიდში

A1 ავტოკლასის თავმჯდომარე შეიხ ჰაშერი დიდი მონდომებით უხსნის ლუიშ ფიგუს ბოლიდში მოქცევის წესებს. იქვეა პორტუგალიელი პილოტი პედრო ლამი. ბოლიდი ლისაბონში, ბელემის კულტურულ ცენტრშია გამოფენილი. A1-ის პირველობებში 16 ქვეყნის გუნდები მიიღებენ მონაწილეობას, ვითარცა „მსოფლიოს თასში“.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგულაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნარიმაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ლარცხავა, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღენჯაშვილი, ბაღრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge